ეპისკოპოსი კირიონი

ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული სირსის მონასტერი

გამოიცა მაღალყოვლადსამღვდელო
რუსთველ მიტროპოლიტ ათანასეს
ლოცვა-კურთხევით

რუსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და
შენიშვნები დაურთო
დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა

თბილისი
1998

ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის გარდაცვალების 80 წლისთავს.

ეპისკოპოს კირიონ ხაძაგლიშვილის (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წ.წ.) "ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირხის მონასტერი" უნდა გამოქვეყნებულიყო კრებულის "ვეს კავკაზ" №2 ნომერში, მაგრამ იმის გამო, რომ 1904 წელს შეწყდა მისი გამოცემა, ამ ნაშრომმა მკითხველამდე ვერ მიაღწია. ვფიქრობთ, ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და დიდებული მამულიშვილის ამ ნარკვევის გამოცემა ძვირფასი საჩუქარი იქნება კირიონ II-ის ხსოვნის პატივისმცემელთა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. იგი მკითხველთა ფართო წრესაც დიდად დააინტერესებს.

ნებადართულია საპატრიარქოს გამომცემლობასთან არსებული სარეცენზიო საბჭოს მიერ.

ეპისკოპოსი კირიონი და მისი ნაშრომი "ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი"

რვა ათეული წლის წინათ, 1918 წლის 27 ივნისს, მარტყოფის მონასტერში დასასვენებლად მყოფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II თავის ოთახში მოკლული იპოვეს. დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ კირიონის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა ასე დაამთავრა: "...ჭაღარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტს მშობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე, დამაშვრალო! აქ მაინც აღარ იქნები "განმარტოვებული," აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დავაფრქვევთ შენს წმიდა საფლავს. შენც, უწმიდესო მეუფეო, აქედგან თვალყური გვადევნე. არ დაგვიიწყო, არ დაგვწყევლო, არ შეგვაჩვენო! პირიქით, . შენებურად, დიდსულოვნად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაცოდვილება სიონის ღვთისმშობელს, წმიდა ნინოს და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ.

შეგცოდეთ – შეგვინდევ და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამამთავარო!"

ეს სიტყვები მთელი ქართველი ერის ნაცვლად ნათქვამი სინანულის სიტყვები იყო ქვეყნისათვის ფრიად დამაშვრალი მამულიშვილის მუხანათური მკვლელობის გამო.

* * *

კირიონ II (გიორგი სამაგლიშვილი) დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს სოფ. ქვემო ნიქოზში დეკანოზ იერონიმე მოსეს ძე სამაგლიშვილის ოჯახში. მამა, შესანიშნავი მოძღვარი და მოქადაგე, მსახურობდა მთიულეთში მისიონერად. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ მთიულთა და ოსთა კულტურულ-საგანმანათლებლო გათვითცნობიერების საქმეში. კირიონის წინაპრებს დიდი წვლილი აქვთ დიდოელთა, ინგუშთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაში.

კირიონმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო ანანურის საეკლესიო სკოლაში, რომელიც მამამისმა დააარსა. 1862 წელს სწავლა გააგრძელა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1876 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1880 წ. კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. ამავე წელს დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წლიდან მსახურობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. სხვადასხვა დროს ასწავლიდა გორისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში, თბილისის სასულიერო საქალებო საეპარქიო სასწავლებელში. ცოლ-შვილის

სიკვდილის შემდეგ, 1896 წელს აღიკვეცა ბერად და ჩააბარეს ქვაბთახევის მონასტერი. 1898 წ. აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად. 1901 წელს დანიშნეს გორის ეპისკოპოსად. რუსეთის სასულიერო მთავრობამ იგი 1902 წელს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიში გაგზავნა. 1903 წ. გადაიყვანეს ხერსონში, 1904 წ. – ორიოლის ეპარქია ჩააბარეს. 1906 წ. სოხუმის ეპარქიის მღვდელმთავარია. 1907 წ. 27 იანვარს კვლავ რუსეთში – კოვნოს ეპარქიაში გადაჰყავთ, საიდანაც 1908 წ. დაითხოვეს ეპარქიის მართვის უფლების გარეშე. მას ბრალს სდებდნენ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში, რის გამოც სამეთვალყურეოდ პოლიცია მიუჩინეს. 1915 წ. მეუფე კირიონს ნება დართეს ვიტებსკისა და პოლოცკის ეპარქია ემართა. მან დიდად იღვაწა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1917 წლის 8-17 ოქტომბრის საქართველოს საეკლესიო კრებამ კირიონი კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. 1917 წ. 1 ოქტომბერს სვეტიცხოველში იგი საზეიმოდ აკურთხეს ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად.

* * *

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. «Полный православный богословский энциклопедический словарь» ცალკე სტატიას უთმობს მას, რომელშიც ნათქვამია: «Кирион-епископ, церковный историк и археолог Грузии и духовный писатель». კირიონი 1899 წლიდან არჩეული იყო მოსკოვისა და კიევის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად, თანამშრომლობდა "მწყემსში," "ივერიაში," "მოამბეში," "ნოვოე ობოზრენიეში," "ტიფლისსკი ლისტოკში," "ზაკავკაზსკი ვესტნიკში," "ვეს კავკაზში." წერდა ფსევდონიმებით: "საძაგელოვ-ივერიელი," "ივერიელი," "ნიქოზელი," "ბ. ლიახველი," "E. K". აქვეყნებდა ლიტერატურულ, საენათმეცნიერო, კრიტიკულ სტატიებს, რომელთაგან აღსანიშნავია: "ძვირფასი ხელნაწერი მეტეხის ოთხთავისა," "აპოკრიფები საზოგადოდ და ქართული განსაკუთრებით," "ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა," "მღვ. მ. თამარაშვილი და მისი შრომა "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის," "უცხო ტომთა სიტყვები ქართულს ენაში," "ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები," "შუშანიკის წამების თაობაზე." ავტორია ნაშრომებისა: "წმ. ანტონი, მესვეტე მარტყოფელი," "წმ. აბო, თბილისის მოწამე," "დავით გარეჯელი და მისი ლავრა," "გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი," "წმ. თამარ დიდი და მისი სახელწოდება," "წმ. დავით IV ალმაშენებელი, მეფე საქართველოსი." განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წიგნი "ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში." გრ. ყიფშიძესთან ერთად ავტორია "სიტყვიერების თეორიისა."

* * *

კირიონი და მის გარშემო შეკრებილი განათლებული ქართველი სამღვდელოება აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ქართული ენის დისკრიმინაციის გამო, რისთვისაც მთავრობამ იგი რუსეთში გაგზავნა მსახურებისთვის და ხშირად უცვლიდა ეპარქიებს. ამის შესახებ მ. თამარაშვილი აღნიშნავს: "წმ. სინოდმა მეამბოხედ ცნო ყველა, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მოთხოვნაში და მოთავენი დაუსჯელად არ დატოვა. მან განსაკუთრებით ჯავრი იყარა ამ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის მოთავეებზე. თავდაპირველად სამშობლოდან რუსეთში გააძევა ქართველი სწავლული ეპისკოპოსი კირიონი, ეგზარქოსის ყოფილი ქორეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ გამოგონილი სხვადასხვა ბრალდებების საბაბით იგი რუსულ მონასტერში გამოკეტა."[1]

კირიონის სამშობლოსთან განშორება 1902 წელს მოხდა. იგი განაწესეს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში. უცხოეთში მყოფი ეპისკოპოსი თავის ახალ სამყოფელს "ჯანაბეთს" უწოდებს. აქ იგი 1903 წლის გაზაფხულამდე ამსახურეს. შემდეგ კი ხერსონში გადაიყვანეს.

კირიონის ხერსონში მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ ვიცით. როგორც დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძისადმი 1903 წ. 16 მაისს მიწერილი ბარათიდან ვგებულობთ, მას ახალ ადგილზე დანიშვნა 13 მაისს შეუტყვია. აი, რას წერს იგი:

"მამაო წმიდაო!

ამ თვის 13 მივიღე უქაზი სინოდისა, რომლიდანაც გავიგე, რომ გადაყვანილი ვარ ხერსონის მეორე ვიკარნად. მე მგონი ვიცხოვრებ ხერსონში. ჩემთვის იქ გაცილებით სჯობიან."[2]

დანიშნულების ადგილზე მეუფე ივნისს ჩაბრძანებულა. მგზავრობისა და დახვედრის შესახებ იგი მამა იოსებს 1 ივლისს გაგზავნილი ბარათით ატყობინებს:

"მამაო წმიდაო!

მშვიდობით ვიმგზავრე. გზიდგანვე შევატყობინე ჩემს ამხანაგს ბოგოიავლენსკის ჩემი მოსვლის დღე. ოდესის მთავარეპისკოპოსს იუსტინეს განკარგულება მოეხდინა, – კარეტა გამოეგზავნა დასახვედრად ვაგზალზედ და თავის სახლში მოემზადებინა ჩემთვის

---

[1] მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, "კანდელი", თბ., 1995, გვ. 451.

[2] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პირადი ფონდი, ხელნაწერი №406, ფ. 16.

ბინა. ისრე მიმიღო იუსტინემ, რომ მეტი არ იქნება. დიდის პატივის ცემით და თანაგრძნობით მომექცა. ოდესაში სამი დღე დავრჩი და 17ს საღამოს ცხრა საათზედ გამოვემგზავრე ხერსონისკენ. 18ს დილის ექვს საათზედ აქ ვიყავი. ნავთსაყუდელზე დამხვდნენ: სამღვდელოება, ნავთსაყუდელის უფროსი (დიდი ბობოლაა) და ადმინისტრაცია. შინ მისვლისას ვაპირებდი გუბერნატორის ნახვას, მაგრამ მან დამასწრო და მე მხოლოდ მაშინვე სადარბაზოდ ვიყავი მასთან. კარგი ქალაქია, მხოლოდ ციებ-ცხელება ეცოდინება, რადგანაც დნეპრის ნაპირებზედ დიდ მანძილზედ არის ატეხილი ლერწამი. მთავარ ეპისკოპოსმა იუსტინემ მე ჩამაბარა ორი სასულიერო სასწავლებელი (ხერსონისა და ელისავეტოგრადისა) და ყველა აქაური დაბალი და საშუალო სამინისტრო სასწავლებლები. პირველ ვიკარნის მარტო ერთი სასულიერო სასწავლებელი ჩააბარა."[3]

როგორც ჩანს, კირიონი ღირსეული პატივით მიულიათ და მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მცოდნე და დამფასებელ იუსტინე მთავარეპისკოპოსს თავისი მეორე ქორეპისკოპოსისათვის სკოლები და სასულიერო სასწავლებლები ჩაუბარებია.

ხერსონში გადასული კირიონი იწოდება ნოვომირგოროდის ეპისკოპოსად. ზემოთ მოტანილ წერილსაც ასე აწერს ხელს – კირიონი, ეპისკოპოსი ნოვომირგოროდისა. იგი საეპარქიო სახლში დაბინავდა. წლიურად მისი შემოსავალია ჯამაგირი 1300 მან, "1000 მანეთამდენაც საიჯარო ფულიდან და წვრილი სტატიებიდან."[4]

ახალ ადგილზე ქორეპისკოპოს კირიონს მრავალი საქმე ჰქონდა. იგი გულმოდგინედ ასრულებდა თავის მოვალეობას. გარდა წირვა-ლოცვისა, სამრევლო ეკლესიებისა და სასწავლებლების შემოვლისა მეუფე სამეცნიერო მუშაობასაც აგრძელებდა. ხერსონში ხელი მოჰკიდა წიგნის «Пятьдесятилетие основания викариатства в Херсонской епархии (1853-1903 г.г.)» შედგენას. მისი თქმით, ორასგვერდიანი წიგნი კარგი გამოსულა. მასში ჩართული ყოფილა ხერსონის ეპარქიის ყველა ქორეპისკოპოსის სურათი. "იუბილეი ჩემს აქ გადმოყვანამდე იყო, მაგრამ რადგანაც ჩემს მოადგილეს ამის თავი არა ჰქონდა მე მოვკიდე ხელი და კარგა შრომაც მომიხდა. მაგრამ არა უჭირსა, ყველგან ვეცდები ქართველ კაცს კარგი სახელი დაუმსახურო."[5] წიგნი 1904 წლის ზამთარში გაუსრულებია.

კირიონმა რუსეთში მრავალი ნაშრომი შექმნა. იგი თავს დასვენების ნებას არ აძლევდა, მშობელი ერისა და ეკლესიის სასარგებლოდ ღვწოდა. 1902 წელს დაწერა სტატია «Колонизация армян в Юго-

---

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პ. ფ., ხელნ. №406, ფ. 16-17.
[4] იქვე, ფ. 18.
[5] იქვე, ფ. 23-24.



3. წმინდა იოანე მახვილელის საფლავი.

4. წმ. ნიკოლოზის ეკეკლერი.

западной России, принятие ими унии с римскою церковью, колонизация их и полное слияние с католичеством». — ძალიან საინტერესო სტატიაა. თითქმის ერთი თვე ვაგროვე ამისთვის მასალა. რომ წაიკითხამ ცერცვისავით ხტუნვას დაიწყებ. ჯერ ვფიქრობდი პატარა სტატია დამეწერა და მართლაც ერთ თაბახამდე გამოვიდა. მეორედ გადავსწერე, გამოვიდა ორი თაბახი, მესამედ — ოთხი და ეხლა შვიდი თაბახი გამოვა,[6] — წერს ი. ჩიჯავაძეს. კირიონი ყოველ ღონეს ხმარობდა, გაეცნო რუსეთისათვის საქართველოსა და მისი ეკლესიის უძველესი ისტორია, კულტურა და ადათ-წესები. იგი სისტემატურად ეცნობოდა ახალ სამეცნიერო აღმოჩენებს და იყენებდა მათ თავის ნაშრომებში. 1904 წლის 22 მარტს გამოგზავნილ წერილში ერთგულ მეგობარს დეკანოზ იოსებს სწერს: "აქამდის ჩვენი მატიანეს დასაწყისი ზღაპრად მიაჩნდათ, რადგანაც ნოეს შვილისშვილიდან იწყება, ახალი გამოკვლევა კი გვიმტკიცებს, რომ ჩვენი წინაპარნი ქალდუ, ქართუ უძველესი კულტურული ხალხია დედამიწაზედ. მათ ქრისტეს დაბადებამდე 6000 წლით ადრე უცხოვრიათ ტიგრის და ევფრატის შუა და, მაშასადამე, თვით პირველი კაცი ადამი, შექმნილი 5058 წ. ქრისტეს დაბადებამდის, ჩვენი შვილის შვილადაც აღარ გამოდგება. ამაზედ სტატიას ვამზადებ."[7]

მისაბაძი ცხოვრებით, წმიდა სარწმუნოებითა და დაუღალავი სამეცნიერო შრომით კირიონმა არა მარტო თანამემამულეთა შორის, რუსებშიც მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა. იგი შენიშნავს: "მეტის მეტი გაზვიადებული აზრი გავრცელებულა რუსეთში ჩემზედ, როგორც ისტორიკოსზედ და არხეოლოგზედ. განა მარტო სასულიერო წოდება, ყველა ვინცკი ბეჭდურ ნაწარმოებებს კითხულობს დიდის მოწიწებით მექცევა. ამდენი შესძლებია, მამაო, კალმის პატარა წვერს! მეც ვცდილობ დღე და ღამეს ვასწორებ, რომ მეტი საქმე გავაკეთო."[8] "მეტი საქმე" კი ნიშნავდა იმას, რომ 1902-1903 წლებში მას დაუწერია 58 წერილი და ოცდახუთთაბახიანი ოთხი სტატია.[9] ასეთი თავდაუზოგავი გარჯით ცდილობდა გაებათილებინა არაკეთილმოსურნეთა მიერ გავრცელებული შეხედულება ქართველთა სიზარმაცის შესახებ. "იშრომეთ, სიზარმაცეს თავი არ მისცეთ. ქართველს ტყუილადა სწამებენ სიზარმაცეს. მაშ ვინ აავსო მთელი მცირე აზია მონასტრებითა და ხელნაწერებით?!"[10] — სწერს იგი დეკ. პოლიევქტო კარბელაშვილს 1902 წლის 26 სექტემბერს გაგზავნილ წერილში.

---

[6] ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პ. ფ., ხელნ. №406, ფ. 10.
[7] იქვე, ფ. 25.
[8] იქვე, ფ. 4.
[9] იქვე.
[10] სცსსა, პ. კარბელაშვილის პ. ფ., №1461, საქ. 254, ფ. 3.

* * *

რუსეთში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი აქტიურად თანაშრომლობდა ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან და კავკასიოლოგთან ბორის სპირიდონის ძე ესაძესთან. 1902 წ. კამენეც-პოდოლსკიდან მან ბ. ესაძეს საყურადღებო სამეცნიერო სტატიები გაუგზავნა გამოსაქვეყნებლად. "რაც აქა ვარ, ესაძის კრებულისათვის შემდეგი სტატიები დავამზადე და გამოვგზავნე კიდეც: 1)Новый вариант творения А.С. Грибоедова «Горе от ума», 2) Христианство в Абхазии в первой четверти XIX в. и попытка организации в ней миссионерского дела в 1831-1834 годах, 3) «Жизнь и подвиги казбегского миссионера иеромонаха Виссариона Павленишвили» და 4) «Христианская система и ея влияния в древней Грузии».[11] პ. კარბელაშვილს კი სწერს: "ბ. ესაძეს სამი სტატია გამოვუგზავნე დასაბეჭდათ კრებულში. ერთი მათგანი ბესარიონზედ არის და ამ სტატიაში ჩვენ წინაპართა ძველ ჩვეულებათა მნიშვნელობის შესახებ მაქვს მსჯელობა. თუმცა "დეკანოზობაზ'ედ" ისე ვერ დავწერე, როგორცა მსურდა, რადგანაც საჭირო მასალები (რაფ. ერისთავისა, ნ. ურბნელისა და სხვ.) არა მქონდა ხელში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი საგულისხმიერო და ახალი აზრი არის გამოთქმული."[12]

ბ. ესაძე დაიბადა 1864 წ. 24 ივლისს. იგი იყო სამხედრო ისტორიკოსი, პოდპოლკოვნიკი. დაამთავრა ქ. ტვერის იუნკერთა საკავალერიო სასწავლებელი. 1882 წელს ჩარიცხეს ნოვოროსიისკის დრაგუნთა მე-7 პოლკში. 1909 წ. დაინიშნა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან არსებული განსაკუთრებულ დავალებათა VII კლასის შტაბს-ოფიცრის თანამდებობაზე. 1910 წლიდან გაზ. "ყარსის" რედაქტორია. მისი ავტორობით და რედაქტორობით გამოვიდა კრებული "საქართველოს მატიანე" (ნაკვ. I, 1913, რუსულ ენაზე), რომელშიც გაშუქებულია ქართველი ხალხის ძველი, შუასაუკუნეების და ახალი ისტორიის და ყოფითი კულტურის ისტორიული საკითხები.[13]

ხერსონში ყოფნის დროს კირიონი არ წყვეტდა თანამშრომლობას ბ. ესაძესთან, ათავსებდა სტატიებს მის კრებულში. ი. ჩიჯავაძეს 1904 წ. 22 მარტს მიწერილ ბარათში სთხოვს: "თუ ბ. ს. ესაძე შეგხვდეს, ჰკითხე: როდის შეუდგება კრებულის ბეჭდვას? მინდოდა ჩემი სტატიების კორრექტურა მევე მეკისრა." აქ ნახსნები კრებული არის "ვეს კავკაზ," რომლის ერთადერთი ნომერი 1903 წელს გამოვიდა თბილისში. იგი 500 გვერდიანი იყო. ბოლოში დართული ჰქონდა 150 ფოტოსურათი და კავკასიის მხარის რუკა. მასში კირიონის

---

[11]ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პ. ფ., ხელნ. №406, ფ. 4.

[12]სცსსა, პ. კარბელაშვილის პ. ფ., საქ. 254, ფ. 4-5.

[13]ბ. ესაძეზე ვრცლად იხ. ვ. წოწელია, ქართველი კავკასიოლოგები (ბორის და სიმონ ესაძეები), "საქართველო," თბ., 1992.



5.ღვთისმშობლის მიძინების ეკვდერი.

6."მარცხნივ კი, ჩრდილოეთით, აგრეთვე ქვის საკურთხevლიანი ეკვდერი."

რამდენიმე წერილია მოთავსებული: "ქრისტიანობის მდგომარეობა და მისიონური საქმიანობის ორგანიზაციის ცდა აფხაზეთში," "მცხეთის ტაძარი (სვეტიცხოველი) და მისი რესტავრაცია," "ანანურის amhewra (საცეცხლე) – არქეოლოგიური ესკიზი," "ქართული გადმოცემები, ცრურწმენანი, ხალხური დღესასწაულები," "კავკასიური ლეგენდები, მითები და წეს-ჩვეულებანი და სხვა," "ცეცხლთაყვანისმცემლობა კავკასიაში," "ხალხური ადათ-წესები და მათი მნიშვნელობა," "ქრისტიანული სისტემა და მისი გავლენა საეკლესიო მწყათსარგებლობის ურთიერთობაზე ძველ საქართველოში," "ქრისტიანული სისტემა და მისი გავლენა საქართველოში."[14]

როგორც ვნახეთ, ბ. ესაძეს თავის კრებულში კირიონის მრავალი ნაშრომი გამოუქვეყნებია. ხერსონში კირიონი საგანგებოდ "ვეს კავკაზისათვის" რუსულ ენაზე წერს მეტად საინტერესო ნარკვევს "ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი". ნეტარხსენებული მეცნიერის ეს ნაშრომი არსად გამოქვეყნებულა და ფართო მკითხველისათვის უცნობია. მისი ორი ავტოგრაფი – ერთი შავი და მეორე გადათეთრებული – ინახება საქ. ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, კირიონის პირად ფონდში (საქმე №11). ჩვენ არ ვიცით, როგორ აგროვებდა ამ ნარკვევისთვის მასალებს ავტორი, რამდენი ხანი მუშაობდა მასზე, მაგრამ შავი პირის თავფურცელზე არსებული მინაწერიდან «Для сборника «Весь Кавказъ», №2, за 1904 г.» ჩანს, რომ იგი სწორედ ბ. ესაძის კრებულისთვის იქმნებოდა და რედაქტორს გაეგზავნა 1903 წ. 31 დეკემბერს – «отпр. Борису Спирид. Эсадзе 1903 года 31 декабря». ეპისკოპოს კირიონს ნაშრომზე მუშაობა დაუმთავრებია 1903 წ. 26 დეკემბერს, რაც აღნიშნულია გადათეთრებული პირის ბოლოს – «1903 года Декабря 26 го дня Гор. Херсонъ». აქვეა მიწერილი: «Отправлено Борису Спир-у Эсадзе 1903 г. 31 декабря для напечатания во втором томе сборника «Весь Кавказъ», ხოლო ამის ქვემოთ კირიონს ჩაუნიშნავს: «P.S. «Весь Кавказъ» прекратилъ свое существованіе». სწორედ ამ მიზეზით ვერ იხილა ფართო მკითხველმა ეს საინტერესო ნარკვევი.

ეპ. კირიონის "ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი" დაწერილია ავტორის ხელთ არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ცხადყოფს მის ღრმა ერუდიციასა და სამეცნიერო ნიჭს. ნარკვევში ავტორს გამოთქმული აქვს საინტერესო ვარაუდი ტოპონიმ ხირსის წარმომავლობის შესახებ. საქართველოს ეკლესიის და ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის საყურადღებო იქნება ცნობა, რომ მღვდელმონოზონი ფილადელფოს კიკნაძე ყოფილა ავტორი "საქართველოს ეკლესიის ისტორიისა." აქამდე კი ცნობილი იყო მხოლოდ მისი "აკტი გონიური," სამი ლექსი და თხზულებები: "მამულის სიყვარული," და "გოდებანი იერემიასნი, ძისა ენაისნი – ხილვათათვის მდგომარეობასა ივერიისასა

---

[14] ვ. წოწელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-41.

აწინდელსა ზედა."[15] ჩვენი ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ის ცნობაც, რომ თურმე ჩვენში ინახებოდა წმ. სტეფანე პირველმოწამის ნეკი, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს დაცული ყოფილა ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერში, ხოლო თვით ეს მონასტერი ერთ დროს მამათა სავანეს წარმოადგენდა. აქვე შევიტყობთ, რომ ანტონ II-ის კუთვნილ წმ. იოანე მანგლელის ნაწილებიანი მცირე ხატი ანჩისხატის ეკლესიაში ინახებოდა. ნაშრომი გვამცნობს გასული საუკუნის დასასრულისათვის ტიბაანის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასა და კომლთა რაოდენობას.

* * *

ეპისკოპოსი კირიონი ხერსონში დიდხანს არ გაუჩერებია მთავრობას. 1904 წლის გაზაფხულზე იგი გადაიყვანეს ორიოლში. ამის შესახებ იგი პეტერბურგიდან სწერს ი. ჩიჯავაძეს:

"მამაო წმიდაო!

ჩემი თავ გადასავალი სწორეთ საარაკოა. დაუდგრომელმა ბედმა ჩემს სიცოცხლეში ხშირად მარგუნა "რეშკა", ეხლა კი მერგო "ორიოლი"...

გელი ორიოლში. მაისის ოცზედ ადრე ვერ წავალ ორიოლში. ესეც ასე. ლამის მთელი რუსეთი მომატარონ."[16]

კირიონმა თავი სამშობლოს მიუძღვნა. ამას მისივე სიტყვები ცხადყოფენ: "მე ქვეყანა და მასზედ ზრუნვა ფეხებზედ როდი მკიდია... ჩემთვის მარად საღმთო იქნება ის ლტოლვილება, რომელსაც მივესწრაფებოდი. ჩემს სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდამდა ჩემს გულს და არც ჯილდო. პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარ ვყავ"[17] მიუხედავად სიცოცხლეშივე დამსახურებული სიყვარულისა და აღიარებისა, იგი მაინც მოკრძალებით ბრძანებდა: "მე ჯერ სამშობლოსათვის იმდენი სარგებლობა არ მომიტანია, რომ ღირსად ვსთვლიდე ჩემ თავს მაგოდენ პატივისცემისა."[18]

* * *

ვფიქრობთ, მკითხველს დაინტერესებს ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის ქონების აღწერა და ცნობები მონასტრის ზოგიერთი წინამძღვრის ნამსახურობის შესახებ, რომელიც ეპისკოპოს კირიონის ნაშრომს ბოლოს დავურთეთ.

დასასრულ, მადლობას ვუხდით ბატონებს მიხეილ სიმონიშვილს, რომელმაც ჩვენთვის გადმოწერა სცსს არქივიდან ფ. №500, აღწ. 5, საქმეები 2 და 264 და ბესარიონ ბეჭვაიას, რომელმაც თავს იდო წიგნის გამოცემა.

დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი

---

[15] ფილადელფოს კიკნაძე, ქადაგება ქველმოქმედების შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსცა მანანა ხომერიკმა, "მეცნიერება," თბ., 1997.

[16] ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონის პ. ფ., ხელნ. №406, ფ. 26-28.

[17] იქვე, ფ. 9.

[18] სცსსა, პ. კარბელაშვილის პ. ფ., საქ. 254, ფ. 6-7.

ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი

I

ღირსი სტეფანე – ხირსის მონასტრის დამაარსებელი. "ხირსის" წარმომავლობა. საკანის სტილი და მის მკვიდრთა მისიონერული მიმართულება. მონასტრის საზღვრები და სხვა ნაგებობანი. კურატი.

ხირსის მონასტერი[19] მდებარეობს ტიფლისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში, ბოდბის საქალებო პირველი კლასის მონასტრის – წმ. მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის ნინოს განსასვენებლიდან 6-7 ვერსზე. დაარსებულია VI საუკუნეში (552-557 წ.წ.) ღირსი სტეფანეს მიერ, რომლის წმიდა ნაწილებიც ამავე მონასტერში განისვენებენ. ისტორიკოს-გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი ხირსის მონასტერზე წერს: "კვალად ხორნაბუჯის ჩრდილოთ არს ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო 13 მამათაგანმან წმიდა სტეფანემ, დიდ კეთილ-შენი. დაფლული არს მუნვე წმიდა სტეფანეზის წინამძღვარი."[20]

ღმერთშემოსილი მამაჲ ჩვენი სტეფანე ერთი იმ ათცამეტ სირიელ მამათაგანია, რომელთაც VI საუკუნის II ნახევარში საქართველოში შემოსულებმა თავიანთი მგზნებარე ქადაგებით, ფიცხელი მოსაგრეობითა და თავგანწირული შრომით ჩააქრეს ჩვენში ზოროასტრის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტი, დააარსეს უდაბურ და მიუდგომელ ადგილებში ღირსად საქები მონასტრები და სულიერად განანათლეს ჩვენი ქვეყანა. მათივე დაუცხრომელი ენერგიის წყალობით ჩვენში გაბრწყინდა მონაზვნობა, რომელსაც დიდი დამსახურება აქვს საქართველოში ქრისტიანობის დამყარებისა და დაცვის, კავკასიის მთიელთა შორის მისი გავრცელების, აგრეთვე ჩვენი მშობლიური სასულიერო მწერლობის განვითარებისა და გამდიდრების საქმეში.

ღირსი სტეფანე იყო მოწაფე ამბა იოანე ზედაზნელისა. თავისი მრავალჭირნახული ღვაწლისათვის მან შეარჩია ციგვიმბორის ქედზე მცირე ფერდი, რომელიც იმ დროს დაფარული იყო უსიერი ტყით. აქ მან აღაშენა თავისი ზეციური მფარველის. წმ. პირველმოწამე სტეფანეს სახელზე მცირე ეკლესია, რომელიც, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, კახეთის მეფე კვირიკე I-ის (ქორიკოზი, 893-918) შრომით შეცვლილა იმავე პირველმოწამის, რომლის ხსენებაც 27

---

[19] ხირსის მონასტრის შესახებ იხ. ჟურნალი "ცისკარი," 1861 წ. მისი, გვ. 51-53.

[20] Carevitch Vakhouchti, Description Geographique la Georgie, p. 311.

დეკემბერსაა, სახელზე აგებული საკმაოდ მოზრდილი ტაძრით.

ჩვენ, არც თუ უსაფუძვლოდ, მზად ვიყავით ეს ტაძარი აგებულების მიხედვით მიგვეკუთვნებინა კვირიკეს მეფობის წინა დროისთვის, რომ არა მონასტრის გუმბათის საკმაოდ მოზრდილი კონუსი, რომელიც აშენებასთან შედარებით გვიანდელ ხანაზე მიგვანიშნებს. თუმცა, საგულისხმოა, რომ კახეთის გვირგვინოსანი კვირიკე იყო მხოლოდ ერთ-ერთი აღმდგენელი, რომელმაც მონასტერს მაღალი გუმბათი დაადგა თავისი ეპოქის გემოვნებასთან შესაბამისად. უკანასკნელი რესტავრაციის დროსაც (XIX ს.), როდესაც გუმბათი დახურეს თუნუქით, ალბათ საკმაოდ ამაღლდა მისი კონუსიც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით რესტავრაციები ხანდახან მთლიანად ცვლიან ტაძრების პირვანდელ სტილს, რაც აიძულებს მრავალ ცნობისმოყვარე, მაგრამ არა მთლად კომპეტენტურ მეცნიერს ქართული ტაძრების ხუროთმოძღვრების შესახებ მსჯელობისას მიაკუთვნონ ისინი უფრო გვიანდელ ხანას, ვიდრე სინამდვილეში ეკუთვნიან.

ჩვენმა მონასტერმა მიიღო სახელი ხირსისა, ხოლო თვით მისი დამაარსებელი ღირსი სტეფანე იწოდებოდა ხირსელად. რომელი სიტყვიდან წარმოდგა ეს სახელი – უცნობია. მას ახსნა არც ქართულ მატიანეებში აქვს. თუმცა, ზოგს სახელი "ხირსა" გამოჰყავს ქართული სიტყვიდან "ღირსი," რომელიც, ვითომდა, გარდაქმნილა ხირსად. ზოგნი კი მას უკავშირებენ მონასტრის ახლოს გამომავალ მდინარე ხირსას, რომელიც, იმ დროს, როდესაც გარშემო მთები დაფარული იყო ხშირი ტყით, საკმაოდ წყალუხვი ყოფილა.[21] დღესაც მასზე თავისუფლად მუშაობს ორლარიანი წისქვილი. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ აქედან გაედინება ბევრი წყალი ბაღების, მინდვრებისა და მდელოების მოსარწყავად.

ჩვენი ფიქრით, მეორე ახსნა სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, თუმცა ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მდინარეს შეეძლო მიეღო სახელი მონასტრისაგან.

მაგრამ ამ სახელის ასახსნელად არის სხვა გზაც – შესაბამისი სიტყვა ვეძიოთ მცირეაზიურ პროვინციებში, ძველად საკმაოდ დიდხანს რომ ბინადრობდნენ ჩვენი წინაპრები, საიდანაც სესხების მაგალითები ჩვენში ცოტა როდია. ასე მაგალითად,ქართლის ადგილის "სურამის" მნიშვნელობა უცნობია ქართულში, მაგრამ უეჭველია, რომ იგი ჩვენში შემოტანილია მცირე აზიიდან. ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან ცნობილია, რომ როდესაც ეგვიპტის ფარაონმა შიშოკმა სძლია იუდეველთა სამეფოს და დაიპყრო 133 ქალაქი, ერთ-ერთი მათგანი იწოდებოდა "სურამად."

თუ მივყვებით ამ გზას, ვნახავთ, რომ მსგავსი სიტყვა "Cherseus " მართლაც მოიპოვება სამარიაში, რომელიც ძველად პალესტინის ნაწილს წარმოადგენდა. იქვე მიანიშნებს მდინარე ხერსიზე

---

[21] Ф. Ленорман. Древняя история Востока, т. I, вып. I. стр. 126.

7.ღირსი სტეფანეს საფლავი.

პტოლემეოსი თავის გეოგრაფიაში. ვითვალისწინებთ რა სამარიის ახლო მეზობლობას სირიასთან, საიდანაც მოვიდა ჩვენთან ათკამეტი კაბადოკიელი მამა, მეტ-ნაკლები უეჭველობით შეიძლება ვთქვათ, რომ თვით ღირს სტეფანეს შეეძლო გადმოეტანა ეს დასახელება სამარიიდან საქართველოში და ეწოდებინა თავისი განმარტოებული მოსაგრეობის ადგილისათვის. ვიმეორებთ, რომ სესხების მსგავსი მაგალითი ჩვენში ბევრია და, მაშასადამე, შესაბამისად სიტყვა "ხირსა" ადვილად შეიძლებოდა შემოსულიყო ჩვენთან მცირე აზიიდან.

ალბათ, დასახელება ხირსიდან წარმოდგა სათავადო გვარი ხირსელი, რომელიც შემდეგ გადაკეთებულა "ხირსელოვად."

ხირსის მონასტერი აგებულია ქართული სტილით, მაგრამ იგი სამამულო არქიტექტურის აყვავების ხანის მსგავსი ვერ არის. ადრე მას ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამისიონერო-სარწმუნოებრივ საქმეში, იყო ერთ-ერთი საუკეთესო სამისიონერო ბანაკი. ამ სავანის მკვიდრნი დაუღალავად და ენერგიულად იღვწოდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად პირქუშ ლეკთა შორის, რომლებიც იყვნენ იმ დროისათვის მიუდგომელი დაღესტნის ველური და თავისუფალი შვილები. ამ მონასტრის წინამძღვართაგან სამისიონერო სარბიელზე განსაკუთრებით იღვაწა XVIII საუკუნეში ქართული ეკლესიის ისტორიაში კარგად ცნობილმა წმ. იოანე მანგლელმა ეპისკოპოსმა, გვარად სააკაძემ (†28 მარტი, 1751 წ.), რომლის წმიდა ნაწილები განისვენებენ ტიფლისის სიონის საკათედრო ტაძარში სიონის ღვთისმშობლის თითქმის პირდაპირ (ცოტა მარჯვნივ). ეს ცნობილი და უშიშარი მისიონერი, რომელმაც საღვთისმეტყველო განათლება მიიღო დავით გარეჯის სკოლაში, ბერთუბნის უდაბნოში, მოციქულებრივი სულისკვეთებით მოღვაწეობდა ქალაქებში: დერბენტში, ასტრახანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მრავალ ალაგას აარსებდა მონასტრებს, სკოლებსა და ეკლესიებს და ყველგან უხვად ავრცელებდა ქრისტიანული სიბრძნის სხივებს. განსაკუთრებით ბევრი იღვაწა მან ოსეთისა და ინგუშეთის მოსაქცევად, რის გამოც, სრულიად სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ იგი მათ ახალ განმანათლებლად. მცირე ხატი, ამ მღვდელმთავრის ნაწილებით შემკული, რომელსაც ატარებდა გულზე უკანასკნელი კათალიკოსი ქართველი ბატონიშვილი ანტონ II, ამჟამად ინახება ტიფლისის ანჩისხატის ტაძრის საკურთხეველში.

მონასტრის ტაძარს, რომელიც გვირგვინდება მაღალი კონუსის მსგავსი გუმბათით მაღალდასავლეთიდან დასავლეთის კარიბჭემდე აქვს სიგრძე 41 ადლი, 6 1/2 გოჯი, სიგანე – 23 ადლი, 10 1/2 გოჯი, ხოლო სიმაღლე ლავგარდანამდე – 15 ადლი, 1 გოჯი. შემოსასვლელი კარი ორი აქვს – დასავლეთიდან და სამხრეთიდან, რომელიც ჯერ ნიკოლოზის ეკვდერისკენ მიემართება, ხოლო იქიდან – მთავარ ტაძარში. მთავარ საკურთხეველში არის ქვისაგან ნაგები ტრაპეზი, სიგრძით 21 1/2 გოჯი, სიგანით კი 21 1/4 გოჯი. მისგან

მარჯვნივ, სამხრეთით, არის კამარიანი ეკვდერი ღვთისმშობლის მიძინების სახელზე (აღინიშნება აღდგომის მეორე დღეს), მარცხნივ კი, ჩრდილოეთით, აგრეთვე ქვის საკურთხეველიანი ეკვდერია, რომელიც ახლა გადაუქცევიათ ჭურჭლის საცავად, რომლის შესასვლელშიც არის სამარხი ღირსი სტეფანე ხირსელისა, გაკეთებული მონასტრის ყოფილი წინამძღვრის არქიმანდრიტ ლეონიდეს, აწ იმერეთის ეპისკოპოსის, მიერ მარმარილოს ქვეშ დაგებული ხით, რომელზეც ამ წმიდანის სრული გამოსახულებაა.

8. ძველი კუბო ქვა, რომელიც ღირსი სტეფანეს საფლავზე იდო.

მთავარ საკურთხეველს არ გააჩნია განსაკუთრებული სამკვეთლო, მის ნაცვლად დგას ხის მაგიდა, რომელზეც სრულდება პროსკომიდია. საკურთხევლის იატაკი გათლილი ქვისაა. ასეთივე ქვისაგანაა სოლეაც, ხოლო ტაძრის დანარჩენ ადგილას იატაკი დაგებულია ძველებური ქართული ფორმის დიდი აგურით (8X8 გოჯი). მონასტრის კანკელი ხისაა, სამიარუსიანი, ჩუქურთმებიანი და თეთრ ფონზე ოქროთი დაფერილი. ღვთისმშობლის მიძინების ეკვდერში სამკვეთლო ქვისაა,

იატაკი – აგურის, ხოლო სამიარუსიანი კანკელი ტილოზეა დახატული. ძველი კუბო ქვა, რომელიც ღირსი სტეფანეს საფლავზე იყო, მდებარეობს მარჯვენა კუთხეში, წარწერები არ ეტყობა, მაგრამ შუბლის მხარეს აქვს ჯვრის გამოსახულება გვერდებზე ლახვრითა და ღრუბლით, ქვევით კი ადამის თავით.

აღნიშნული საკურთხევლების გარდა, ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით არის წმ. ნიკოლოზ მირონლუკიის საკვირველმოქმედის საკურთხეველიც. მისი სიგრძე 9 1/2ადლია, სიგანე 5 ადლი, ხოლო სიმაღლე 7 ადლი. ტრაპეზი ქვისაა, ხოლო სამკვეთლო ჩრდილოეთის კედლის ნიშაშია მოთავსებული. ამ საკურთხეველს ორი კარი აქვს: ერთი – მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის მხრიდან, ხოლო მეორე სამხრეთის მხრიდან. კანკელი ტილოსია, სამიარუსიანია, დაუწერია ვინმე რუს ხატმწერს. შიგნით ზეთოვანი საღებავებით დახატულია: მაცხოვარი ეკლის გვირგვინით, ღირსი სტეფანე ხირსელი, წმიდა დიდმოწამე და ძლევაშემოსილი გიორგი და ღირსი ტიხონი. ამ ეკვდერს გარედან მიდგმული აქვს ღვდელმონოზონ ფილადელფოს კიკნაძის[22] მიერ (რომლის კალამსაც ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის ისტორია) პატარა ოთახი ღამის მთეველთათვის.

მონასტრის ფრონტონები დახურულია ქართული კრამიტით, ხოლო გუმბათი – თეთრი თუნუქით. ძველად მონასტერს ჰქონდა ერთი კარი სამხრეთის, ხოლო მეორე – დასავლეთის მხრიდან. პირველი დღეს იშვიათად იღება. გარედან მონასტერს აქვს სხვადასხვა დროს მრავალჯერ აღდგენის ნიშნები. ხოლო თვით მონასტრის ტაძარი კაპიტალურად შეკეთებულა საქართველოს ეგზარქოს იონას დროს 1822 წელს. ტაძრის გარეგნობა არ ახდენს მნახველზე სასურველ შტაბეჭდილებას, რადგან აგებულია ლოდებით, აგურითა და რიყის ქვით. მონასტერი სილამაზითა და სტილის სიწმიდით, შესრულების მხატვრულობითა და სიმტკიცით ჩამოუვარდება საქართველოს სხვა მონასტრებს, სამაგიეროდ უეჭველად აღბეჭდილია სიძველით. როგორც მართლმადიდებლობის მოწინავე ბურჯი, იგი ხშირად დარბეულა ქრისტიანული სარწმუნოების მტერთაგან, მაგრამ საქართველოს კეთილმორწმუნე გვირგვინოსნები ზრუნავდნენ მის აღდგენა-აშენებაზე, რის წყალობითაც ამ ჭაღარა ტაძარმა, რომელიც თოთხმეტი საუკუნე განანათლებდა გარშემო მართლმადიდებელ მოსახლეობას, მოაღწია ჩვენამდე.

მონასტრის დასავლეთით აღმართულია საკმაოდ მაღალი გალავანი, რომელიც, პლ. იოსელიანის მოწმობით, შეუკეთებია კახეთის მეფე ლეონს,[23] და ამის გამო მონასტერი, რომელსაც ეზოსთან შედარებით

---

[22] ფილადელფოსის შესახებ იხ. ჩვენი ბროშურა Две святыни в Кахетии. Монастырь св. Шио. стр. 17.

[23] Пл. Иоселиани, Путевые записки по Кахетии. стр. 121-128.

დაბლობი ადგილი უჭირავს, რჩება ზღუდის გარეთ, რომელთანაც აკავშირებს ოცდაერთსაფეხურიანი ქვის კიბე.

ხირსის მონასტრის სამრეკლო სამსართულიანია. იგი მდებარეობს დასავლეთით, დახურულია თეთრი თუნუქითა და აუგია ილუმენ ალექსანდრეს (საყვარელიძე), ძირითადად საკუთარი სახსრებით. მონასტრის შენობათა ირგვლივ გალავანი საკმაოდ ფართოა, მოიცავს დაახლოებით მეოთხედ დესეტინას. ძველად გალავანს უეჭველად ჰქონდა კუთხეებში სიმაგრეები, ახლა კი ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გადარჩენილია ერთი მრგვალი ერთიარუსიანი კოშკი, რომელიც მონასტრის გალავანზე მაღალი არ არის.

მონასტრის ტაძარს ადრე ჰქონია თავისი გალავანი, რომლისგანაც ამჟამად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაშთებიღაა დარჩენილი, სიმაღლით მონასტრის მოედნის დონემდე. მონასტრის ეზოში, ტაძრის წინ, ყოფილა მშვენიერი წყაროს წყალი. იგი გამოდიოდა მონასტრიდან ორ ვერსზე აქამდე არსებული წყაროდან, რომელიც ატარებს კოდის წყაროს სახელს. სამწუხაროდ, ბერებმა ვერ შეძლეს თავის დროზე დაეცვათ დანაგვიანებისაგან თიხის მილები, რომელშიც მოედინებოდა ცივი და გემრიელი წყალი. მონასტრის ეზოში წყალი შეწყდა. სარწყავი წყლის უქონლობის გამო მონასტრის ტერიტორიაზე ყველა მცენარე ზაფხულის პირველივე ცხელ დღეებში ხმება და მნახველზე საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მონასტრის ეზოში მოთავსებულია განსაკუთრებული ფლიგელი საეკლესიო-სამრევლო სკოლისთვის და მარანი, რომელიც აუშენებია ყოფილ წინამძღვარს არქიმანდრიტ ლეონიდეს. აქვეა ორსართულიანი სახლი, რომლის მეორე სართულზე მოთავსებულია წინამძღვრის განსასვენებლები, ხოლო ქვედა სართულზე ცხოვრობს ძმობა. გალავანს სამხრეთით აქვს ჭიშკარი, ხოლო ჩრდილოეთით მცირე კარი, გამავალი ერთი დესეტინის ფართობის მქონე ვენახში, რომელიც გაუშენებია მონასტრის ბერს გიორგის (შავიშვილი). იგი დაკრძალულია ეზოში, ნიკოლოზის ეკვდერის წინ.

მონასტერი ქიზიყის მოსახლეობაში დიდი პატივით სარგებლობს. სავანის ტაძრის დღესასწაული, როგორც ზემოთ ვთქვით, 27 დეკემბერს არის და შემოიკრებს მრავალ ქართველ, სომეხსა და თვით ლეკ-მაჰმადიან მლოცველს. მაგრამ, ტაძრის დღესასწაულის გარდა, გარშემო ბინადარნი გულმოდგინედ დადიან მონასტერში კვირა დღეს, განსაკუთრებით კი ათორმეტ დღესასწაულზე.

აქვე საჭიროა აღინიშნოს თავისი სიძველით განსაკუთრებით შესანიშნავი ერთი ჩვეულება, რომელიც ქართველთა შორის ქიზიყშია შემონახული (სიღნაღის მაზრა). აღთქმის მიხედვით, ირგვლივ მოსახლე მამაკაცები მონასტერს სწირავენ თავის ფიზიკურ შრომას, ე.ი. მოდიან მონასტერში და მუშაობენ უსასყიდლოდ რამდენიმე

9.მონასტრის სამრეკლო.



10.მონასტრის გალავანი რესტავრაციის შემდეგ.

თვე, საკუთარი აღთქმის პირობაზე. მონასტერი კი მხოლოდ კვებავს ამ უფასო მუშებს და აძლევს ქალამნებს. მონასტრისათვის თავისი შრომის უსასყიდლოდ შემწირველ მუშას ეწოდება კურატი. როდესაც კურატი დროს გაასრულებს, სთხოვს მღვდელმონოზონს, გადაუხადოს პარაკლისი და ბრუნდება შინ. ჩვენ ამ ჩვეულებას აღსანიშნავი იმად ვუწოდეთ, რომ მსგავსი სიტყვა ჰქონდათ ჩვენს თანატომელ ხეთებს, მათთან შესაწირ საქონელს ერქვა კურატი.[24] ქართლში შესაწირ საქონელს, ხბოს, დღემდე შემორჩა სახელი კურატი.

II

მონასტრის უძველესი სიწმიდე – წმ. პირველმოწამე მთავარდიაკონ სტეფანეს ნეკი, რომელიც უსამართლოდ მიუთვისებია მეზობელ მონასტერს. წმიდა ნივთები და ჭურჭელი. საფლავები მონასტერში.

მონასტრის საუკეთესო სამკაულს წარმოადგენდა მისი უძველესი სიწმიდე – წმ. პირველმოწამე სტეფანეს ნეკი, რომელიც, სავარაუდოა, მოუტანია თვით ღირს სტეფანეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიწმიდე ჯერჯერობით სხვა სავანეშია. წმ. პირველმოწამე მთავარდიაკონ სტეფანეს ხსნებეული ნეკის ვერცხლის ბუდეზე არის ქართული წარწერა ამ ძვირფასი საყოველთაო სიწმიდის ხირსის მონასტრისადმი უტყუარი კუთვნილების შესახებ და ბრძანდება ბოდბის დედათა მონასტერში. მიუხედავად ხირსის მონასტრის ყოფილი წინამძღვრის არქიმანდრიტ ლეონიდეს შუამდგომლობისა, იღუმენია იუბენალია I არ დათანხმებულა დაებრუნებინა მონასტრისათვის მისი მრავალსაუკუნოვანი სიწმიდე, რომელიც არეულობის წლებში, მტერთაგან დარბევების ხანაში, დროებით შესანახად გადაუტანიათ იმჟამად ხირსის მონასტრისათვის მიწერილ ბოდბის, იმ დროს ჯერ კიდევ მამათა, მონასტერში.

საეკლესიო ნივთთაგან ყურადღებას იქცევენ:

ა) მოსკოვში დამზადებული ვერცხლის ოთხსვეტიანი სანაწილე, რომელსაც აქვს შემდეგი წარწერა: «Жертвуетъ іеромонах Александръ Сакварелидзе. 1896 г. 20 января».

ბ) ვერცხლის ბარძიმი წარწერით: "პირველ .მოწამეო სტეფანე, შემიწყალე, მცირისა ამის ძღვნის შემამწირველი, ხირსის მონასტრისა შენისა წინამძღვარი დავით დარჩაშვილი და ძე ჩემი იოვანე, ამინ. მისხალი (რი) ქკს უნ" =1762 წ.

---

[24] იხ. Богословский Вестник за 1901 г. О Хеттеяхъ.

c) ვერცხლის ფეშხუმი წარწერით: "ქ. შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი შენ წმინდასა მამასა ჩვენსა სტეფანეს ხირსელსა, და მე ყდ ულირსმან ქისიყის მოურავმან რევაზ, – ფეშხუმი და კამარა ვერცხლისა, რათა მეოხ მექმნა წინაშე ღვთისა მეულლით ჩემით, ძით და ასულით თვესა ივლისსა ი ქკს უით მისხალი ნდ კამარით."[25] ქართული ქრონიკონი უით=1781 წ.

d) ვერცხლის ფეშხუმი შემდეგი წარწერით: "ეს ფეშხუმი შევსწირე დათიკომ ბერძენოვმა ჩემ სასულიეროთ, ჩემი ცოლშვილის სასულიეროთ."[26]

e) ვერცხლის კამარა წარწერით: "შემოგწირე ჩემ სახსენებლად ნატალია ბერძენოვის(ამ)."

f) კოვზი წარწერით: "არხიმანდრიტი ნიკიფორე."

g) ტაკუკი წარწერით: "შემოგწირე მცირე ესე ნივთი წმიდაო სტეფანე ყაფლან ორბელიანმან."[27]

h) ვერცხლის ყუთი დიდმარხვაში წმ. ტარიგის შესანახად შემდეგი წარწერით: "შემოგწირე მღვდელ-მონაზონმა პიმენმა ფარსადანოვმა შევწირე (?) ხირსის წმინდა სტეფანეს. 1902სა წელსა აგვისტოს 20. მისხხალი რლთ."

i) ვერცხლის ოთხშანდალი, საიდუმლო სერობის წინ დაკიდული, რომელზეც შემდეგი წარწერაა: "წმიდაო მოციქულო და პირველ-მოწამეო და არხიდიაკონო სტეფანე, შემოგწირე მცირე ესე ძღვენი ჩვენ, ქიზიყის მოურავმა პოლკოვნიკმა და კავალერმა იოსებ ანდრონიკოვმა საოხად სულისა ჩემისა და შესაწევნელად თანამეცხედრისა ჩემისა ელენა, ამირეჯიბის ასულისათა, და ალსაზრდელად ძისა ჩვენისა იასესთვის და ასულისა ქეთევანისთვის. მეოხ გვექმენ ორთავე ცხოვრებათა შინა, ამინ. წელსა ჩყიდ."

k) ტრაპეზის მინანქრებიანი ვერცხლის ჯვარი შემკული ციმბირული ქვებით წარწერით: «Священникъ Яси Чагуновъ».

ტაძრის იატაკი მოფენილია წინამძღვართა და კერძო პირთა საფლავებით.

1. ტაძრის მარჯვენა ნაწილში სვეტის წინ არის საფლავის ქვა შემდეგი წარწერით: "აქა მდებარეობს სხეული ხირსის არხიმანდრიტის ბუჭყიევის ძის ეპიფანესი, მექონი შობიდგან 67 წლისა, რომელიც გარდაიცვალა 1852სა წელსა თებერვლის 10სა დღესა."

საფლავის ზემოთ, სვეტზე, მოთავსებულია სპილენძის დაფა შემდეგი წარწერით: "აქ მდებარეობს სხეული ღვთისადმი განსვენებულისა ხირსის წმინდის სტეფანეს მონასტრის წინამძღვარი

---

[25] ძველი ქართული წესით, წარწერაში ყოველი სიტყვის მერე ზის ორი წერტილი.

[26] წარწერაში ფეშხუმი შეცდომით იწოდება ბარძიმად.

[27] ყოველი სიტყვის მერე ორი წერტილია. წარწერა, უეჭველია, შესრულებულია არა უგვიანეს XVIII საუკუნისა.



11.მარნის ნანგრევები.



12.ძველი ორსართულიანი სახლის ადგილზე აგებული შენობა, რომელშიც დღეს ხირსის მონასტრის ძმობა ცხოვრობს.

და კავალეროსანი არხიმანდრიტი ივერიის აზნაურთაგანი ბუჭყიევის იოანეს ძე ეპიფანე, მექონე შობიდგან 67 წლისა, შემდგარი ,ძოლეშ ძ0081 ფლმოკლიფორეი ილეცეძრბლუ, ოფ ლმინ ძლბოშოძლმონ ხოლო არხიმანდრიტად 1815სა წელსა 10სა თებერვლის თვესა. შეგიმკე ესე სახსენებელი ნეტარ ხსენებულო არხიმანდრიტო ძმისწულმან შენმან მაიორმა იოანე ბეჟანისძემ ბუჭყიევმან."

2. საფლავის გვერდით, მარცხნივ, არის წარწერიანი საფლავის ქვა: «Здесь погребено тъло настоятеля сего же монастыря, архимандрита Григор¡я Берзенова. Родился въ 1809 году, скончался 5го ¡юля 1869 года». "აქა დასაფლავებულ არს გვამი ამავე მონასტრის წინამძღვრისა, არხიმანდრიტისა გრიგორისა, ყოფილ დეკანოზის გიორგი ბერძენოვისა. დაიბადა 1809 წელსა გარდაიცვალა 5 ივლისს 1869 წ."

3. მარჯვნივ სვეტთა შორის არის უწარწერო ქვა საფლავის აღსანიშნავად, ხოლო თვით სვეტში მოთავსებულია სპილენძის დაფა შემდეგი ეპიტაფიით:

«О, братъ, ты не жалъй, что рано умер я,
Не сътуйте о мне родные и друзья,
М¡р сей гостиница, - чтожъ долго въ немъ и бытъ?
Не лучше-ли въ свой домъ въчный поспъшить?

Здесь покоится прахъ Нижегородского Драгунского полка штабъ-лекаря и кавалера Ивана Феодоровича Лещинскаго, сканчавшагося 1832 года Августа 19 дня на 34 году своего рожден¡я. Посвящалъ с¡й надпись родной его братъ, онаго же полка полковой священникъ Симеонъ Лещинский».

4. ამ საფლავის მარჯვნივ არის ქვა შემდეგი წარწერით:

«Здесь покоится прахъ капитана, командира Донской казачьей конно-артиллер¡йской 3ей роты Алексъя Васильевича Полякова, скончавшагося въ 16 дней Августа 1833 года, на 36 году отъ рожден¡я».

5. უკანასკნელი სვეტის მარჯვნივ, ჩრდილოეთის მხარეს, ჩატანებულია მარმარილოს დაფა, რომელზეც შემდეგი წარწერაა: "შენი ვარ და მაცხოვნე მე, უფალო. ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ საპერნის ბატალიონის კაპიტანი სოლომონ მაღალოვი, რომელმაც შევწირე თავი ჩემი ხელმწიფის ერთგულობისათვის და მომკლეს დალისტანში სოფლის ჭოხის აღებაში 1849სა წელსა ივლისის 5სა დღესა. წამკითხველნო შენდობას ვითხოვ მიბძანოთ."

6. ამ სვეტსა და ტაძრის დასავლეთის კედელს შორის განისვენებს არქიმანდრიტი ევსტრატი (ღვინიევი). საბწუხაროდ, მონასტრის ძმობამ არ იზრუნა აღენიშნა დასაფლავების ადგილი ქვით.

7. მარჯვენა მხარეს დასავლეთის კედელზე მოთავსებულია მარმარილოს დაფა შემდეგი წარწერით: «Здесь покоится нашъ братъ,

Нижегородского драгунского полка капитанъ Василий Григорьевичъ Марковъ, скончавш¡йся 1820 года Декабря 31 числа, на 31 году отъ рожден¡я своего».

8. მარცხენა მხარეს სვეტთა შორის არის საფლავის ფილა შემდეგი წარწერით: "საფლავსა შინა მდებარე ვარ ხირსის წმიდის სტეფნის (მონასტრის) წინამძღვარი არხიმანდრიტი იოსებ ჩახნაევი. მხილველნო შენდობა მაღირსეთ. გარდაიცვალა 20.3.1882სა წ."

9. ამ საფლავის გვერდზე, მარჯვნივ, მოთავსებულია საფლავის ქვა წარწერით: "ამას ალაგსა ზედა განისვენებს გვამი პოდპოლკოვნიკის გრიგორი ვასილიევის ძის კავალევასი გარდაცვლილისა ჩყკ ს წელსა აგვისტოს კთ სა დღესა დაბადებიდგან მგ წლისა."

10. ამ ძეგლის გვერდით არის საფლავის ქვა, მაგრამ წარწერის უქონლობის გამო უცნობია, ვინ არის აქ დასაფლავებული.

11. მარცხნივ უკანასკნელი სვეტის ახლოს, სამხრეთის მხარეს, არის ქვის ფილა წარწერით: «Подъ симъ камнемъ покоится прахъ супруги штаб-лекаря Надежды Харитоновны Брюсовой, къ прискорб¡и мужа и родныхъ скончавшейся на 20 году от рожден¡я, ноября 30 дня 1834 года».

12. ამ საფლავის წინ არის წარწერიანი ქვა: «Въ сей могилъ покоится прахъ роднаго брата моего Александра Сърикова, скончавшагося 1го Сентября 1812 г., артиллер¡й поручика».

13. დასავლეთის კედელში ჩატანებულ მარმარილოს დაფაზე არის წარწერა: «Здесь погребено тъло лейбъ-гвард¡и гренадерскаго полка поручика и кавалера Константина Гавр¡иловича Чиляева, родившагося 20 мая 1801 года, скончавшагося, къ сердечному прискорб¡ю родственниковъ его, 12 Августа 1829 года, в кръности Нухъ, во время его управлен¡я Нухииского провинц¡ею».

14. ნიკოლოზის ეკვდერში სამეუფო კარების წინ საფლავის ქვის ნახევარი ამბიონის ქვეშაა მოქცეული, ხოლო დანარჩენზე დატანებულია მარმარილოს წარწერიანი დაფა: "აქა მდებარე არს თინათინ ივანეს ასული, მეუღლე კეთილშობილი იოსებ მაღალოვისა, აღსრულებულ იქმნა 15 ნოემბერს 1858 წელსა, შობიდგან 85 წლისა."

III

მონასტრის წინამძღვრები, წარწერები ტაძარზე და მინაწერები. მონასტრის მამულები, მიწერილი ეკლესიები და საარქიერო შემოსავალი. ხირსის მონასტრის შესახებ დოკუმენტური მონაცემების სიმწირე. დასკვნა.

ხირსის მონასტერში მუდამ იჯდა წინამძღვარი ხან არქიმანდრიტის წოდებით, ხან ეპისკოპოსის ხარისხში, ხანაც უბრალო მღვდელი. ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული იოანე მანგლელის გარდა კიდევ ცნობილია ხირსის სტეფანეს მონასტრის შემდეგი წინამძღვრები:

]



13.არქიმანდრიტ იოანე ბუჭყიაშვილის საფლავის ქვა.

14.არქიმანდრიტ იოსებ ჩახნაშვილის საფლავის ქვა.

ა) არქიმანდრიტი დანიელი (1530-1553 წ.), დატყვევებული ლეკთაგან და კახეთის მეფე ლევანისაგან გამოსყიდული;

ბ) მთავარეპისკოპოსი გაბრიელ ბოდბალი (ბოდბელი), წმიდა სტეფანეს მონასტრის წინამძღვარი;[28]

გ) არქიმანდრიტი ბართლომე (1716-1734 წ.);

დ) არქიმანდრიტი ეპიფანე I (1735-1769 წ.);

ე) დავით (1769 წ.) დარჩიაშვილი;[29]

ვ) არქიმანდრიტი თომა (1770-1790 წ.), ჰქონდა მონასტერთან არსებული შესანიშნავი სკოლა;

ზ) კირილე (1790-1792 წ.), ყოფილი რუსთველი (1783-1790 წ.);[30]

ᲗᲘ) მღვდელი იოანე (1793-1814 წ.);

თ) არქიმანდრიტი ნიკიფორე (1816-1841 წ.), თავადი გვარად ჯორჯაძე;

ი) არქიმანდრიტი ეპიფანე II (1842-1852, †10 თებერვალს), ბუჭყიაშვილის გვარისა, ადრე შუამთის წინამძღვარი ყოფილა;

ია) არქიმანდრიტი კესარია (1870-1877 წ.), გვარად ჩეკურაშვილი;

იბ) არქიმანდრიტი იოსები (1877-1882 წ.), ჩახნაშვილი (†20 მარტს);

იგ) არქიმანდრიტი ევსტრატი (ღვინიევი); დეკანოზყოფილი;

იდ) არქიმანდრიტი ლეონიდე (1893-1897 წ.), ოქროპირიძე, აწ იმერეთის ეპისკოპოსი;

იე) არქიმანდრიტი ევსევი (1897-1898 წ.) ცაბაძე; და

ივ) არქიმანდრიტი ლეონტი, 1898 წლიდან, ბაქრაძე, დეკანოზყოფილი.

ასე რომ, ჩვენთვის ცნობილია 17 წინამძღვრის სახელი.

რაც შეეხება წარწერებს, ისინი ტაძრის გარდა კედლებზეცაა, თუმცა ზოგიერთი დროსა და სტიქიას დაუზიანებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ 1841 წლის 9 აპრილს მისწერა მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ეპიფანეს, გადაეწერა ყველა წარწერა არსებული მონასტრის კედლებზე, ღირსი სტეფანეს საფლავის ფილაზე და წიგნებზე მინაწერები, მაგრამ ამ წინამძღვარმა გადაწერა და გაუგზავნა მხოლოდ ერთი წარწერა,

---

[28] ბერი არსენი სუხანოვი, მთავარდიაკონი ჩუდოვის მონასტრისა და პატრიარქისა, 1637-1640 წლებში ელჩთა შორის საქართველოში მყოფი, ასახელებს ამ მღვდელმთავარს სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად. იხ. Христ. чт. за 1884 г. №3-4, стр. 23.

[29] იხ. ზემოთ ლიტერი в.

[30] 28 იელისს ლეკნი მოუხდნენ ხირსის და საქობოს ბოლოზედ და ქიზიყელები გამოაქციეს. წინ დახვდათ კირილე ჯვარით ხელში, მიუძღვა ქიზიყელებს და ლეკები ძალიან დაამარცხეს. გამობრუნებულს კირილეს ჰკრა თოფი ჩასაფრებულმა ლეკმა, რომელიც იქვე აკუწეს. იყო დიდი მოჭირნახულე ეკლესიისა.

რომელიც იყო სამხრეთის კედელზე, თუმცა კი წარწერა და მინაწერი რამოდენიმეა, რაც ქვემოთ თქმულიდან ჩანს:

ა) სამხრეთის კედლის გარეთა მხარეს, სარკმლის ზევით მოთავსებულია ქვის რელიეფიანი ფილა ჯვრის გამოსახულებით; ამ ჯვრის მარცხნივ წარწერა წაშლილია, მაგრამ მარჯვნივ მოჩანს მრგლოვანით შესრულებული წარწერა. სამწუხაროდ, მაღალი კიბის ადგილზე უქონლობის გამო არ გვქონდა საშუალება ზედმიწევნით გადმოგვეწერა დროისა და სტიქიის გამო დაზიანებული ეს წარწერა. ქვემოდან დიდი გაჭირვებით გაირჩეოდა შემდეგი:



ქრისტე ადიდე კვირიკ მეფე.

ბ)აღნიშნული წარწერიდან ოდნავ მარჯვნივ არის ჯვრის გამოსახულებიანი თლილი ქვა, რომლის გარშემოც შემდეგი წარწერაა:



ქ. ქრისტე ადიდე მეფობა ლეონისი, ამინ უფალო.

გ)მონასტრის დასავლეთის კარზე მოთავსებულია ქვის ფილა, რომელზეც მხედრულით მიწერილია შემდეგი:



[31]

დ)ხელნაწერი წიგნი სვინაქსარი, რომელიც მონასტერშია, შეიცავს შემდეგ მინაწერს: "სვინაქსარი ესე აღვსწერე მე ულირსმან ბერმა ამირანიძემ არხიმანდრიტმა კირილე ჟამსა დიდად მწირობისასა, რომელ ასტრახანს ვიწყე ესრეთ უგვანოდ და ჩქარად წერად, თითო რვეულს დღედ ვასრულებდი და მოსკოვს შევასრულე. აგვისტოს იზ წელსა ჩღიე (1765)."

ხირსის მონასტრის გარემო იმითაცაა აღსანიშნავი, რომ საქართველოს გმირი ირაკლი II ხშირად აწესებდა იქ შესაკრებ ადგილს თავისი ძლევამოსილი მხედრობისათვის, რომელიც აქედანვე მიემართებოდა უფლის ჯვრის მტრების, განსაკუთრებით ხშირად – ქრისტიანული საქართველოს დაუძინებელი მტრის – ლეკების წინააღმდეგ.

---

[31]ეს არქიმანდრიტი ნიკიფორე შემდგომ იყო გორის ეპისკოპოსი (1842-1851 წწ.).



15. კაპიტან ალექსი ვასილის ძე პოლიაკოვის საფლავის ქვა.

ორმოცდაათიანი წლებიდან მონასტერს აქვს სამი დიდი ზვარი, ორი წისქვილი, ერთი დუქანი, სახნავი მიწები, სოფელ მირზაანში – ტყე, სოფელ არბოშიკში – მიწები აგურის ქარხნებით. გარდა ამისა, მონასტერს მიეწერებოდა: 1. წმ. იოანე ნათლისმცემლის გაუქმებული მონასტერი სოფელ ვაქირში, ზვრებით, დუქნებითა და შენობებით, საიდანაც მონასტერი ოჯარის ფულს იღებდა და 2.ხირსის მონასტრის სამხრეთით, დაახლოებით 6 ვერსზე, ტყეში მდებარე

ამაღლების ეკლესია მშვენიერი ტყითა და წყაროებით. გადმოცემით აქ იყო მონასტერი და იჯდა ეპისკოპოსი. ტაძრის დღესასწაულზე ამაღლების ეკლესია მრავალ მლოცველს იზიდავს. ეს ტაძარი მდებარეობს თვალწარმტაც ადგილზე, მთლად ძველი ქართული აგურითაა ნაგები, გუმბათიანია და შიგნით ჯერ კიდევ შემონახულია ფრესკული მხატვრობა. მარჯვენა სვეტზე საკმაოდ კარგად შენახულია მთელი ტანით აღმართული სამეფო შესამოსლიანი ორი პიროვნებისა და მათ შორის შეფუთნული ქალის გამოსახულებანი. წარწერები არ გადარჩენილა. ტაძრის დამაგვირგვინებელი მაღალი გუმბათი ამ ეკლესიის უაღრესი სიძველის დამადასტურებელია. ეკლესიის მინაშენები და შემოგარენი ნანგრევებითაა მოფენილი. ჩანს, აქ ოდესღაც დულდა ცხოვრება, სამონასტრო ცხოვრება. დღეს იგი მიეწერება წმ. მოციქულთა სწორის ნინოს ქალთა მონასტერს, რომელიც სარგებლობს კიდეც მისი შემოსავლით. 3ჩანაზანში ხირსის მონასტერს აგრეთვე ჰქონდა იჯარით გაცემული დუქნები და აგურის ქარხნები. გარდა აღნიშნული მამულებისა, მონასტერს ჰყავდა თავისი გლეხები სოფლებში: ტიბაანი, ოზაანი, პრასიანი და ვაქირი, რომელთაგანაც წელიწადში 322 მანეთს იღებდა. თავის სამ დიდ ზვარს, ორ წისქვილსა და ერთ წისქვილს მონასტერი იჯარით აძლევდა სიღნაღელ მოქალაქე აღალო ნუბროვს წელიწადში 260 მანეთად. ჩანაზანის დუქნებიდან და აგურის ქარხნებიდან მონასტერს 60 მანეთი შემოსდიოდა; ხოლო ვაქირის მამულებიდან – დუქნები, პატარა ვენახი და შენობები – იღებდა 84 მანეთსა და 50 კაპიკს წლიურად.

მონასტრის კედლებთან ახლოს მდებარეობს სოფელი ტიბაანი, რომელიც შეადგენს განსაკუთრებულ მრევლს 200 კომლი ქართველი და 40 კომლი სომეხი-გრიგორიანელი მოსახლით. ადრე ეს სოფელი მდებარეობდა ხირსის მონატრიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ხეობაში, მაგრამ 50 წლის წინ მოსახლეობა აიყარა და ჩამოსახლდა ამჟამინდელ ადგილზე, რომელიც, უეჭველია, ხირსის მონასტერს ეკუთვნოდა.

აღნიშნული ქონებიდან, ექსპროპრიაციის შემდეგ, მონასტერს დარჩა: ერთი ზვარი ორი დესეტინა სოფელ ტიბაანში, მდინარე ხირსის ნაპირზე, ორი წისქვილი – ერთი პრასიანში, ქართული წესით გამართული, ხოლო სხვა – ბორბლიანი, მონასტრის ვენახის ახლოს, აგებული სავანის ამჟამინდელი წინამძღვრის არქიმანდრიტ ლეონტის (ბაქრაძე) მიერ, რომლებსაც მოაქვთ წელიწადში 300 მან. ერთი დუქანი ხსენებული ვენახის ბოლოს, აგებული იმავე წინამძღვრის მიერ, შემოსავლით 70 მან. საიჯარო წლიურად. გარდა ამისა, მონასტერს გალავნის ირგვლივ აკრავს 200 დესეტინა მიწა, რომლის ნაწილსაც მონასტრის ძმობა ამუშავებს.

1850-1851 წლებში ხირსა გადაკეთდა III კლასის მონასტრად, რისთვისაც წინამძღვარს დაენიშნა 300 მან., ორ მღვდელმონოზონს

60 მან. თითოეულს, ერთ ბერდიაკონს 50 მან. და ორ მორჩილს 40-40 მანეთი წლიურად.

სამწუხაროდ, ხირსის მონატრის გუჯრები არ შემონახულა, რის გამოც ძნელია უფრო სრული ნარკვევის შედგენა წარსული მოღვაწეობისა და იმ დანიშნულების შესახებ, რომელსაც ის ასრულებდა კახეთის სამეფოს ცხოვრებაში. დ.პ. ფურცელაძეს, რომელმაც შეისწავლა და გამოსცა ქართული სიგელ-გუჯრები, თავის ნაშრომში არ მოჰყავს არც ერთი გუჯარი. ჩანს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მონასტრის ქონების გუჯრებში არაფერი მოიპოვებოდა ხირსის მონატრის შესახებ. მრავალი მათგანი უეჭველად დაიკარგა კახეთის არაერთგზის აოხრებისას, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ თავად-აზნაურთა ძველ ოჯახებში მოიძებნება ამ მონასტრის საბუთები და ბევრი რამ სადავო სავანის წარსული ბედის შესახებ განცხადდება. ჩვენ არ ვამბობთ უიმედოდ — "ignorabimus ", რადგან ვიმედოვნებთ, რომ ამ მონასტრის წარსული ცხოვრება ახლო მომავალში გამოირკვევა, იგი დიდხანს არ დარჩება საუკუნოდ ამოუცნობ ამოცანად, ცხრაკლიტულში ჩაკეტილ წიგნად.

16. სამხრეთის კედელში მოთავსებული ქვა ჯვრის გამოსახულებითა და წარწერით: "ქრისტე, აღიდე კვირიკ მეფე".

დანართი

აღწერა[32]

სიღნაღის ეპარხიის ხირსის მონასტრისა, მდგომარისა ამავე უეზდსა შინა

ხირსის მონასტერი მდებარეობს აღმოსავლეთის კერძო, ქისიყისა კიდესა. მონასტერი ესე არს არა მცირე, გუმბათოვანი, ქვითკირისა, სიმაღლით იმ-სა საჟენისა, სიგრძით იდ-ისა და ნახევარისა საჟენისა, სიგანით 8-ისა და ნახევრისა საჟენისა. გრძელჟამიერობისა გამო დაძველებული, უწინარეს 1200-ისა წლისა აღშენებული სახელსა ზედა წმიდისა პირველ მოწამისა და არხი დიაკონისა სტეფანესსა, რომელსა შინაცა ჩრდილოდ კერძო, წინა ტრაპეზისა მდებარეობს გვამი ღირსისა მამისა ჩუენისა სტეფანესი, რეც ვისაგან თორმეტთა მამათაგანისა, რომელნიცა მოსრულან ასირით საქართველოდ. ამას საფლავსა ზედა არს სამწირველო ღვთის მშობლისა მიძინებისა. მონასტერსა ამას შინა არა რაი იყო მტრისაგან აღოხრებისაგან, რადგან მდებარეობს საშიშსა ადგილსა, რომელ დღესაცა არა შესაძლებელ არს მუნ ცხოვრება მათი მცირის კაცით. და ჰქონდა, რომელი დღესაცა აქვს დახიზვნითგან, რბილი ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, კამარა და განსაზავებელი სრულიად ხუთი თუმნისა და ხუთის რუბლისა თეთრის ფულისა. ქვემორე ამისა რაიცა ითქმის და აღიწერება აწ მყოს არხიმანდრიტის ნიკიფორესაგან, რაოდენ შესაძლებელ არს რუსთა და ქართველთაგან შემწეობით ახლდება მონასტერი ესე და მიმდინარეობს აღყვავებასა და შვენიერებასა შინა და ღვთით დღითი დღე წარემატება, რომელსა ზედაცა მოადგა თავი გუმბათის ქვით, დაადგა ზომიერი ჯვარი, და განაახლა გარედამ კრამიტის დახურვით და გალესვით ორი წილი და დაშთომილი არს მესამედი, რომლისათვისცა დღითი დღე ზრუნავს და მეცადინეობს შესრულებასა. აქვს მონასტერსა ამას კანკელი ქვითკირისა და მუნნი ხატნი სრულებით ტილოსა ზედა დახატულნი, მომკულნი წმიდის ნინას სობორისაგან. შუაზე საკიდი, რომლისა ვერცხლისა ასორმოცი მისხალი, ვერცხლის შამდანი ორმოცდათერთმეტი მისხალი, სარღვნელი და კოვზი ცხრა რუბლისა, სამღვდელო შესამოსელი ერთი ხელი, სრულებით მდაბალი ტრაპეზის შესამოსი და საფლავის ხალიჩა — ფუჩი ფარჩისა ზარიანი. საეკლესიო წიგნები ერთი ხელი სრულებით, სტამბისა. თვით მონასტერი ესე გარეთ დაშთომილ არს, და ზედ მიდგმული აქვს დასავლეთი კერძო გალავანი ქვიტკირისა

[32]სცსსა, ფონდი №500, აღწ. 5, საქმე №2.

17.სამხრეთის კედელში მოთავსებული ჯვრის გამოსახულებიანი ქვა წარწერით: "ქ. ქრისტე, ადიდე მეფობა ლეონისი, ამინ უფალო."

არა მცირე, უსრული და შიგ დატანებული კოშკი, სამრეკლოთ ყოფილი, დაძველებული და აწ არადღა სახმარი. გალავანსა მას შინა არს საწინამძღრო სახლი, ძირს ორი ოთახით და შუაზე ზალით, და ზევით ჩარდახი ყავრით დახურვილი ერთიანი, არ განყოფილი. აქავე მარანი ქვევრებით 12ის საპანისა, ორი კელია ალიზისა, სამზვარეულო, სახაბაზო და საჯინიბო ალიზისა, არა

დიდრონები. ზვარში ნავი ხისა და ქოცოები ერთის საპანისა. მსახურნი საეკლესიოთა ყმათაგანი ორნი შეცვლით და სხვანი ათს კაცამდინ მოსამსახურენი, ზოგნი ნათესავთა მიერ მიცემულნი და ზოგნი ჯამაგირით იმყოფებიან, ვინადგან უმათოდ შიშისა გამო შეუძლებელ არს მუნ ცხოვრება მცირისა კაცითა.

იმავე ნიკიფორე არხიმანდრიტის უწყებასა ქვეშე არს ვაქირის სოფლის ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა შობისა, დიდი, უგუმბათოდ აღშენებული ძველთაგან, რომელსაცა იტყვიან ლეონ მეფისაგან, მექონი ყმისა და მამულისა. აქვს კანკელი ხისა შაბაქათ მოჭრილი და წამლით დახატული ხატნი სრულებით ტილოსა ზედა. დახატულნი ქართულისა მხატრობისა. ბარძიმ-ფეშხუმი ხუთის თუმნისა. საეკლესიო წიგნები: სახარება და მარხვანი, ჟამნი, დავითნი, ზადიკი – ახალნი, და ძველი: სამოციქულო და პარაკლიტონი, ყოველივე სტამბისა. და მომცრო ზარებიცა. სამრეკლო ქვიტკირისა, არა დიდ, ქვეშ სადგომი აქვს მნათისა სამყოფელი.

არხიმანდრიტს ნიკიფორეს შემდგომ შემატებული ფეშხუმი ვერცხლისა ნდ მისხალი, კოვზი, კამარა – კბ, განსაზავებელი – კბ, შუაზე დასაკიდებელი მავთულისა ასხმული ბროლის ხომლი, ტრაპეზის შესამოსი ფარჩა ზარიანი, ტრაპეზი(ს) ჯვარი ვერცხლისა ფინიკტი რუსულის ხელობისა, სამლვდელო შესამოსელი ერთი ხელი – საშუალო, ორი დაფარნა ფარჩისა, საეკლესიო წიგნები: სადღესასწაულო და მარხვანი, ახალი ჟამნი რუსული, დავითნი ახალი, [...] ვნებისა სახარება, ერთი დიდი რუსული ზარი.

აგვისტოს ჩყკე წელსა.

აღწერა[33]

ხირსის მონასტრის არსებული ქონებისა, შედგენილი 1907 წლის 28 ივლისს, ნაუცბათევად

1. ფილონი ნაირფერი 16 და სამი სამგლოვიარო, ერთი ძველი სამგლოვიარო, ექვემდებარება ამოღებას.
2. ოცდაერთი ნაირფერი სტიქარი.
3. შვიდი ნაირფერი სტიქარი სტიქაროსნებისათვის.
4. დიაკვნის სტიქარი სამი და ერთი შავი.
5. ოლარი ოცი.
6. სარტყელი ცხრამეტი, ნაირფერი, კიდევ რვა.

---

[33]აღწერა შედგენილია რუსულად. სცსსა, ფ. №500, აღწ. 5. საქ. №264, ფ. 19, Опись Наличному имуществу Хирсского монастыря, составленная 1907 года 28 іюля наскоро.



18. წარწერიანი ქვა მონასტრის დასავლეთის კედელზე "ადიდე ღმერთო, იმპერატორი ალექსანდრე პირველი და მხედრობანი მისნი, ამინ."

19. ვაქირის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი.

7. ენქერი თერთმეტი.
8. საგვერდული ნაირფერი თერთმეტი და სამი სამგლოვიარო.
9. დიაკვნის გინგილა ნაირფერი შვიდი. კიდევ სამი, მათ შორის ორი სამგლოვიარო.
10. საბუხარი ნაირფერი ოცდაორი, ხოლო სამგლოვიარო ოთხი.
11. დაფარნა ცხრამეტი წყვილი.
12. ორი დაფარნა ჯვრებიანი.
13. ანალოღიის საბურველი თექვსმეტი.
14. ტრაპეზის საბურველი თექვსმეტი.
15. ტრაპეზის შესამოსი სამი.
16. საკურთხევლის კრეტსაბმელი ექვსი.
17. ორი ვერცხლის ხატი – ღვთისმშობლისა და ნათლისღებისა.
18. ხატი ღვთისმშობლისა ტრაპეზზე, სამკვეთლოზე – ბუდეში ჩასმული.
19. ვერცხლის ჯვარი.
20. ხის ჯვარი ვერცხლის ჩარჩოში.
21. ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და ჩამჩა, პლუშიანი ვარსკვლავი.
22. ორი აპლიკის ჯვარი მინანქრის ხატებით.
23. ერთი ძველი მიტრა.
24. აპლიკის სანაწილე.
25. სამი სპილენძის შანდალი და მეოთხე აპლიკისა.
26. შვიდტოტა აპლიკისა.
27. ოთხი ანალოღია.
28. კვერთხი ლურჯი მანდილით.
29. ორი მაგიდა.
30. ვერცხლის სანაწილე ორიარუსიანი ხუთი გუმბათით, კუბოთი, ჯვარცმით.
31. ვერცხლის მოოქროვილი ფეშხუმი ვარსკვლავით.
32. ვერცხლის ფეშხუმი და ვარსკვლავი.
33. ვერცხლის კოვზი.
34. ვერცხლის მოოქროვილი სინი.
35. ვერცხლის მცირე სინი.
36. ზარდახშა.
37. დიდი ჯვარი ჯვარცმის გარეშე.
38. ვერცხლის მოოქროვილი ბარძიმი.
39. ვერცხლის სინი.
40. რვაბოლოიანი ჯვარი მინანქრის ხატებით, შემოწირული მლვდ. გიორგი ჩუბინოვის მიერ.
41. ვერცხლის ტარმოტეხილი ციცხვი.
42. ვერცხლის კანდელები, კუთხეებში მინანქრიანი.
43. ვერცხლის თხელი ჯვარი, ძველი, ქართული წარწერით.

44. ვერცხლის გატეხილი შარავანდედი.
45. ქორკანდელი ოთხი შანდლითა და არწივით.
46. შანდლის ვერცხლის ნატეხი ერთი ძეწკვით.
47. არქიმანდრიტის გატეხილი ჯვარი გატეხილი ჯვარცმით, უძეწკვო.
48. ქართული სახარებები შემკული აპლიკით.
49. ქართული სახარება, მხედრულად, ვერცხლის ფაქიზი ნამუშევარი, შუაში ჯვრით.
50. ვერცხლის საცეცხლური.
51. მღვდელმონოზონ ეფრემის განცხადებით, ერთი ჯვარი არის მირზაანის ღვთისმშობლის ეკლესიაში მღვდელ ჯამასპოვთან მონასტრის კეთილმოწესის თანხმობით.
52. ერთი სამგლოვიარო სრული შესამოსელი არის ხაშმის მღვდელმონოზონ ილარიონთან [..].
53. თოთხმეტი აბრეშუმის ნაირფერი ბაღდადი.

ცნობები ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის ზოგიერთი წინამძღვრის ნამსახურობის შესახებ

არქიმანდრიტი გერონტი – 49 წლის, სწავლობდა ტიფლისის სასულიერო სემინარიაში სიტყვიერებას, მსოფლიოს ისტორიას, გეოგრაფიასა და არითმეტიკას, სასულიერო წოდებიდან. სწავლის შემდეგ განაწესეს გორის მაზრის სასულიერო სამრევლო სასწავლებლის I კლასის მასწავლებლად (1823 წ. 8.I). იმავე წლის 3 მაისს გადაიყვანეს II კლასის მასწავლებლად. 1830 წ. 3 თებერვალს გორის მიძინების ეკლესიაში ხელი დაასხეს მღვდლად. ამავე წელს, 1 მარტს, დაინიშნა გორის მაზრის სასულიერო სამრევლო სკოლების ინსპექტორად. 6 სექტემბერს – კეთილმოწესედ. 1831 წ. 1 იანვრიდან ზემოთაღნიშნული სკოლების ზედამხედველია. 1836 წ. 5 სექტემბერს დაჯილდოვდა საგვერდულით. 1839 წ. 14 აგვისტოს დაინიშნა საეკლესიო ყმებისა და მამულების მმართველად. იმავე წლის 3 ოქტომბერს აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. გაწეული გულმოდგინე სამსახურისათვის უწყალობეს იისფერი ხავერდის სკუფია (1832წ. 14 აპრილი). 1842 წ. 16 მაისს – კამილავკა. 1845 წ. 21 აპრილს – სამკერდე ჯვარი. 1851 წ. 3 თებერვალს – წმ. ანას III ხარისხის ორდენი. ბერად აღიკვეცა 1852 წლის 28 აგვისტოს. 1852 წ. 30 აგვისტოს აღიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა ხირსის მონასტრის წინამძღვრად. იმავე წლის 26 ივლისს დანიშნულია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად.[34]

---

[34] სცსსა. ფ. 500, აღ. 5, საქ. №174, ფურც. 1-4, არქიმანდრიტ გერონტის 1852 წლის ნამსახურობის სია. რუსულ ენაზე.

არქიმანდრიტი ნიკიფორე ჯორჯაძე (1816-1841) – ქართველი, თავადთაგანი, მონაზონებას სკოლასა შინა არა უსწავლია. იცის ქართული წიგნი, წერა. და რუსული წერა არ იცის. აქვს ბრონზის ჯვარი 1821სა წლისთვის. მონაზონობასა შინა აღკვეცილი არს ჩყ-ს წელსა სიღნაღის მიტროპოლიტის იოანეს მიერ წმიდის ნინას სობორსა შინა. მთავარ დიაკონად ხელდასხმულ არს ჩყ-ს წელსავე. იერომონახად ჩყვ, ამავე სობორსა მიტროპოლიტის იოანესაგანვე. არხიმანდრიტად ხელდასხმულ არს ანტონი კათალიკოზის მიერ ჩყვ და განწესებულ არს ღირსის სტეფან წმიდის მონასტერსა შინა. შობითგან მგ წლისა.[35]

არქიმანდრიტი მაკარი – 40 წლის, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სასულიერო წრიდან, ბერად აღიკვეცა 1850 წ. 20 აპრილს შუამთის მონასტერში. სემინარიის საშუალო განყოფილების დამთავრების შემდეგ ალავერდის ტაძრის მედავითნე – 1845 წ. 8 მარტიდან. იქვე დაასხეს ხელი დიაკვნად – 1847 წ. 9 ოქტომბერი. განაწესეს შუამთის მონასტრის ძმობაში – 1849 წ. 5 მაისი. 1850წ. 31იანვარს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით დაინიშნა საეკლესიო მამულების მმართველის თანაშემწედ. 1850 წ. 17 მაისს აკურთხეს მღვდელმონოზვნად. იმავე წლის 2 დეკემბერს დაინიშნა თელავის მაზრისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის საეკლესიო მამულების მმართველად და დაევალა ალავერდის ტაძრის გამგებლობა. 1851 წ. 25ოქტომბერს გულმოდგინე შრომისა და ალავერდის ტაძრის შემოსავლის გაზრდისათვის მოკრეფილი თანხიდან დააჯილდოვეს 30 ვერცხლის მანეთით. იმავე წლის 5 დეკემბერს დაევალა შუამთის მონასტრის დროებით მართვა და დაინიშნა იმავე მონასტრის შენობების საზედამხედველო კომიტეტის მთავარ წევრად. 1852 წ. 12 მარტს დაინიშნა ალავერდის სიძველეების აღმდგენელი კომიტეტის მთავარ წევრად. 1854წ. 9 დეკემბერს დაინიშნა შუამთის მონასტრის მოლარედ. 1855წ. 6 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისაგან დაევალა აწყურის ტაძრის შემოსავლების შეკრება. 1852 წ. 20 იანვარს დაჯილდოვდა საგვერდულით, 1854 წ. 11 ივლისს ეწყალობა სამკერდე ჯვარი. უწმიდესი სინოდის 1857წ. 12 აპრილის №2217 გადაწყვეტილებით დაინიშნა ბოდბის წმ. ნინოს ტაძრის წინამძღვრად და აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1858 წ. 24 მაისს დაინიშნა ხირსის სტეფანეს მონასტრის გამგებლად. იმავე წლის 30 მაისს განაწესეს საინგილოს ეკლესიების კეთილმოწესედ. დღესასწაულებზე ალავერდის ტაძრის შემოსავლის შეკრებისათვის 1858 წ. გამოეცხადა მადლობა საქართველოს ეგზარქოსისაგან. 1858 წ. 30ოქტომბერს ინგილოების ქრისტიანობაზე მოქცევისათვის

---

[35]სცსსა, ფ. 500, აღწ. 5, საქ. №2.

გამოეცხადა უწმიდესი სინოდის ლოცვა-კურთხევა. 1853-1856 წლების ომის სამახსოვროდ მინიჭებული აქვს ბრინჯაოს ჯვარი.[36] დანიშნეს სილნაღში ახალი ტაძრის აღმშენებელი კომიტეტის წევრად.[37]

არქიმანდრიტი სოფრონი – 55წლის, სწავლობდა ტიფლისის სასულიერო სემინარიაში, სასულიერო წოდებიდან. აღიკვეცა შუამთის მონასტერში. სემინარიის დამთავრების შემდეგ ხელი დაასხეს დიაკვნად, მღვდლად განაწესეს საბუის ღვთისმშობლის ეკლესიაში. 1843 წ. საკუთარი თხოვნით შაქრიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1852წ. 24 ოქტომბერს ავადმყოფობის გამო საკუთარი თხოვნით დაითხოვეს შტატიდან. 1859წ. 14 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად და დაინიშნა შუამთის მონასტრის მოლარედ. 1862წ. 11 მაისს ერთგული მსახურებისათვის დააჯილდოვეს საგვერდულით. 1863 წ. 13 აპრილს ეწყალობა სამკერდე ჯვარი. უწმიდესი სინოდის 1864წ. 26ოქტომბრის №4927 ბრძანებით დადგენილია ხირსის მონასტრის წინამძღვრად და აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში. 1867წ. 14 მაისს ებოძა წმ. ანას III ხარისხის ორდენი.[38]

არქიმანდრიტი გრიგოლი (ბერძენიშვილი) (1868-1869) – 60 წლის, სასულიერო წოდებიდან, შინ ისწავლა ქართული და რუსული წერა-კითხვა და გალობა. 1831წ. 13 ივნისს დუშეთის ნიკოლოზის ტაძარში ხელი დაასხეს დიაკვნად. 1835წ. 26 იანვარს ნაზრანში, ინგუში მრაევლისთვის (ოსეთის სასულიერო კომისიის გამგებლობა) ხელი დაასხეს მღვდლად. იმავე წლის 26 სექტემბერს გადაიყვანეს სტირდიგორსკის ოსურ სამრევლოში და უბოძეს კეთილმოწესის (ბლაღოჩინი) თანამდებობა. გადაიყვანეს არდონის ოსურ სამრევლოში თანამდებობის შენარჩუნებით 1837 წ. 20 მაისს. არაერთგზის გამოეცხადა სასულიერო მთავრობის მადლობა კეთილმოწესის საქმიანობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, ეკლესიის მშენებლობის, მრევლის მიმართ ყურადღებიანი დამოკიდებულებისა და ოსთა მოქცევისათვის. 1837წ. ეწყალობა სკუფია, 1841 წ. – კამილავკა, 1847 წ. 26 აპრილს – სამკერდე ჯვარი. 1849 წ. 12 მარტს გადაიყვანეს დუშეთის ნიკოლოზის ეკლესიაში და დაავალეს კეთილმოწესის საქმეების შესრულება. 1850 წ. 11 სექტემბერს დაინიშნა დუშეთის სამრევლო სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად, განთავისუფლდა 1853 წ. 20 იანვარს. 1854 წ. 17

---

[36]სცსსა, ფ. 500, აღ. 5. საქ. №174, ფურც. 19-22. ბოდბის წმ. ნინოს ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ მაკარის ნამსახურობის ფორმულარული სია, 1858 წ. რუსულ ენაზე.

[37]სცსსა, ფურც. 43. 1861 წლის ნამსახურობის სია. რუსულ ენაზე.

[38]სცსსა, ფ. 500, აღწ. 5, საქ. №174. ფურც. 80-81. ხირსის წმ. პირველმოწამე და მთავარდიაკონ სტეფანეს წინამძღვრისა და ძმობის 1867 წლის ნამსახურობის სია. რუსულ ენაზე.

ივლისს უწმიდესი სინოდის №5873 ბრძანებით აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. 1857 წ. 21 აგვისტოს აღიკვეცა ბერად და განაწესეს შუამთის მონასტრის მოლარედ. 1853-1856 წლების ომის სამახსოვრო ბრინჯაოს ჯვარი ებოძა. 1859 წ. 21 აპრილს უწმიდესი სინოდის ბრძანებით ებოძა არქიმანდრიტობა და განაწესეს დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად. 1862 წ. ეწყალობა წმ. ანას III ხარისხის ორდენი. 1868 წ. 8 იანვარს ეგზარქოს ევსევის შუამდგომლობითა და უწმიდესი სინოდის ბრძანებით დავით გარეჯის უდაბნოდან გადაიყვანეს ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად.[39]

იღუმენი ანტონი (1869-1870) – 65 წლის, ქართველ აზნაურთა გვარიდან, მაჭავარიანი. ქართულ და რუსულ ენებზე წერა-კითხვა უსწავლია სასულიერო სასწავლებელში. 1869 წელს მღვდელმონაზონია და ხირსის მონასტრის წინამძღვარი.[40] 1870 წ. 19 დეკემბერს იღუმენის ხარისხშია.[41]

არქიმანდრიტი კესარია ჩეკურაშვილი (1870-1877) – 46 წლის, დაამთავრა ტიფლისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი, სასულიერო წოდებიდან. სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1849 წ. 4 დეკემბერს ხელი დაასხეს დიაკვნად. იმავე წლის 6 დეკემბერს ხელი დაასხეს მღვდლად აწყურის ილიას ეკლესიაში. დაინიშნა საბლაღოჩინო ოლქის საერთო მოძღვრად 1857 წ. 27 აგვისტოს. 1859 წ. საკუთარი თხოვნით გადავიდა შაშიანის ღვთისმშობლის სამრევლოში. 1860 წ. 20 მაისს დააჯილდოვეს საგვერდულით. ხირსის მონასტრის საძმოში განაწესეს 1860 წ. 18 ივლისს. იმავე წლის 14 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად. 7 ნოემბრიდან არის მონასტრის მოლარე. საქართველოს ეგზარქოს ევსევის ბრძანებით 1860 წ. 23 დეკემბერს მონასტერში გულმოდგინე მოღვაწეობისათვის დააჯილდოვეს 25 ვერცხლის მანეთით. 1861 წ. 28 მარტს 1853-1856 წლების ომის სამახსოვრო ვლადიმერის ლენტიანი ჯვარი ეწყალობა. 1863 წ. 10 თებერვალს საკუთარი თხოვნით გადაიყვანეს ტიფლისის ფერისცვალების I ხარისხის მონასტერში. 1865 წ. 18 აგვისტოს განაწესეს მონასტრის მეკუჭნაედ. პატიოსნად მსახურებისა და 5 წლის განმავლობაში მონასტრის მოლარის მოვალეობის გულმოდგინედ შესრულებისათვის საქართველოს ეგზარქოს ევსევის ლოცვა-კურთხევა მიიღო. 1867 წ. 20 ნოემბრიდან განაწესეს ტიფლისის ფერისცვალების მონასტრის მოლარედ. დაინიშნა ფერისცვალების მონასტრის ფლიგელების აღმშენებელი კომისიის

---

[39]სცსსა. ფ. 500, აღწ. 5, ფურც. 85-87, ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრისა და ძმების 1868 წლის ნამსახურობის ფორმულარული სია. რუსულ ენაზე.

[40]იქვე. ფურც. 93, ხირსის სტეფანეს მონასტრის წინამძღვრის 1869 წლის ნამსახურობის სია, რუსულ ენაზე.

[41]სცსსა. ფ. 500, აღწ. 5, საქ. №210, ფურც. 108.

მთავარ წევრად. 1868 წ. 18 ოქტომბერს ეგზარქოს ევსევის წარდგინებით, გულმოდგინე მსახურებისათვის, დაეკალა მონატრის მართვა. 1869 წ. 4 მაისს უწმიდესი მმართველი სინოდის ბრძანებით ფერისცვალების მონასტრის კეთილად განგებისათვის დაჯილდოვდა 50 ვერცხლის მანეთით. 5 სექტემბერს დაეკისრა საკურთხებლად გამზადებულ პირთა მოძღვრობა. 1870 წ. 23 აპრილს საქართველოს ეგზარქოს ევსევის ბრძანებით დაადგინეს ხირსის მონასტრის მმართველად, 1871 წ. 24 იანვარს – წინამძღვრად და აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში. ეგზარქოს ევსევის ბრძანებით მივლინებულია თავრიზში რუსეთის იმპერატორის გენერალურ საკონსულოში. 1871, 1872 და 1874 წლებში ეგზარქოსის ბრძანებით განაგებდა ბოდბის წმ. ნინოს ტაძარსაც. 1874 წ. 24 მაისს დაინიშნა ამ ტაძრისა და გალავნის შიგნით მდებარე შენობების აღმდგენელი კომისიის მთავარ წევრად.[42]

არქიმანდრიტი იოსებ ჩახნაშვილი (1877-1882) – 63 წლის, სასულიერო წოდებიდან, სწავლობდა ტიფლისის სასულიერო სემინარიაში და დაამთავრა I თანრიგით. დიაკვნად ხელდასხმულია 1836 წ. 6 იანვარს. ანაგის მღვდლად ხელი დაასხეს 7 იანვარს. 1841 წ. 6 იანვარს გადაიყვანეს მირზაანის ეკლესიაში. 1846 წ. 6 ნოემბერს დააჯილდოვეს საგვერდულით. 1853 წ. 19 ივლისს გადაიყვანეს ვეჯინის ეკლესიაში. 1856 წ. 21 მაისს საკუთარი სურვილისამებრ განაწესეს შუამთის მონასტრის საძმოში. 1859 წ. 13 მაისს აღიკვეცა ბერად. 1864 წლის 25 დეკემბერს განაწესეს იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მოლარედ. 1864 წ. საკუთარი თხოვნით გადაიყვანეს აფხაზეთის ეპისკოპოსის სამსახურში. 1865წ. ეგზარქოს ევსევის ბრძანებით დაინიშნა ბზიფის ოლქის კეთილმოწესის მოვალეობის შემსრულებლად. 1866 წ. აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრეს წარდგინებით ეგზარქოსმა დაადგინა კეთილმოწესედ. 1868 წ. 16 აპრილს დაჯილდოვდა სამკერდე ჯვრით. 1869 წ. 9 იანვარს დაინიშნა ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიის გამგებლად. 1871 წ. 2 მაისს აღყვანილია ილუმენის ხარისხში. 1873 წლის 6 მაისს საქართველოს ეგზარქოს ევსევის წარდგინებით აღყვანილია არქიმანდრიტის ხარისხში. 1874 წ. 13 მაისს ეგზარქოსის დავალებით მართავს ქვაბთახევის მონასტერს. 1876 წ. 20 აპრილს ეგზარქოს ევსევის წარდგინებით უწმიდესი სინოდის მიერ დაინიშნა ხირსის მონასტრის წინამძღვრად.[43]

---

[42]სცსსა. ფ. 500. აღწ. 5. საქ. №244. ფურც. 35-38. ხირსის სტეფანეს მონასტრის წინამძღვრისა და ძმობის 1875 წ. ნამსახურობის სია. რუსულ ენაზე.

[43]სცსსა. ფ. 500. აღ. 5. საქ. №174. ფურც. 76-77. ხირსის სტეფანეს მონასტრის წინამძღვრისა და ძმობის 1881 წლის ნამსახურობის ფორმულარული სია. რუსულ ენაზე.

შენიშვნები

I

გვ. 13 ბატონიშვილი ვახუშტი – (1696-1757), პოეტი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ისტორიკოსი, გეოგრაფოსი. 1724 წ. ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, დასახლდა მოსკოვში. აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. მან შექმნა მნიშვნელოვანი ნაშრომი "აღწერა სამეფოსა საქართველოსა." იგი ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ვახუშტიმ მონაწილეობა მიიღო რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისა და მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში. გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალულია დონის მონასტერში.

ზოროასტრიზმი – რელიგია, რომელიც ძველად გავრცელებული იყო შუა აზიაში, ირანში, ავღანეთში, აზერბაიჯანსა და ზოგ სხვა ქვეყნებში. მისთვის დამახასიათებელია ცეცხლთაყვანისმცემლობა. სახელწოდება მოდის ძვ. ირანული რელიგიის წინასწარმეტყველ ზარატუშტრადან (ბერძნ. ზოროასტრი), რომელსაც მიეწერება ზოროასტრიზმის შექმნა.

გვ. 14 ღირსი მამა იოანე ზედაზნელი – VI საუკუნის II ნახევარში მისი წინამძღოლობით საქართველოში ასურეთიდან მოვიდნენ ღირსი მამები: დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი. წმ. იოანე დაესახ-ლა მცხეთის ახლოს ზედაზნის მთაზე, სადაც დაანგრია კერპთმსახურ-თა სამლოცველონი და ააშენა მონასტერი. თავისი ღვთივშთაგონებული ქადაგებითა და მადლიანი სწავლით მოიზიდა გარშემო მოსახლე ქრისტიანები. დაკრძალულია იქვე. მისი ხსენებაა 7 მაისს (ძვ. სტ.). ათასამეტ ასურელ მამათა ღვაწლით ჩაეყარა საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას საქართველოში.

წმ. პირველმოწამე მოციქული და მთავარდიაკონი სტეფანე – მოციქულთა მიერ დადგენილ 7 დიაკონთაგან ერთ-ერთი (საქ. 6, 1-6). სულიწმიდით აღვსილი ქადაგებდა სახარებას, ახდენდა სასწაულებს. უკანასკნელი ქადაგებისას მისი სახე იყო გაბრწყინებული, ვითარცა ანგელოზისა. ამ ქადაგებისათვის იუდეველებმა ცილი დასწამეს ღვთის გმობაში და ჩააქვავეს (შობიდან 30 წლისა). აღსასრულის წინ წმ. სტეფანე თავისი მტრებისათვის ლოცულობდა. წმ. სტეფანე ქრისტიანთაგან პირველი ეწამა სარწმუნოებისათვის, რისთვისაც პირველმოწამე ეწოდა. მისი წმიდა გვამი დაფლეს იერუსალიმის მახლობლად. ხსენება 27 დეკემბერს (ძვ. სტ.).

კვირიკე I – კახეთის მთავარი (ქორიკოზი, 892-918), მისი მმართველობის დროს საქართველოს შემოესია აბუ ლ-კასიმი და დაიპყრო კახეთის ციხეები უჯარმა და ბოჭორმა. კვირიკე I დაუზავდა მას და დაიბრუნა უჯარმა. დაახლ. 915 წ. კვირიკე I-მა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სთან ერთად გაილაშქრა ჰერეთის წინააღმდეგ. მოკავშირეებმა დაიპყრეს და გაინაწილეს ჰერეთის პუნქტები არიში, გავაზი, ორჭობი. იხ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ფარაონი შიშოკი – შიშონკ I, სუსაკიმ მეფე ეგვიპტისა (III მფთ, 14, 25), ეგვიპტის ფარაონი სოლომონის მეფობის ბოლო წლებსა და რობოამის მმართველობის დასაწყისში. გამეფდა ჩვ. წ. აღ. 950 წ. დაუდო სათავე ფარაონთა XXII დინასტიას. რობოამის მეფობისას შეიჭრა იერუსალიმში, აიღო იგი და გაძარცვა ტაძარი, სამეფო განძით გაამდიდრა საკუთარი სალარო (III მფთ. XIV, 26. II ნეშტთა, 12, 9).

გვ. 15 სამარია – ქანაანის მიწის ცენტრალური ოლქი (III მფთ. XIII, 32).

პალესტინა – ისტორიული ოლქი წინა აზიაში. ძვ. წ. XI საუკუნეში პალესტინის ტერიტორიაზე შეიქმნა ისრაელ-იუდეველთა სამეფო.

პტოლემეოსი – II საუკუნის ძვ. ბერძენი მეცნიერი. შეიმუშავა ე.წ. გეოცენტრული სამყაროს სისტემა. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომია "გეოგრაფიის სახელმძღვანელო" 8 წიგნად, რომელშიც მაშინდელი გეოგრაფიული ცოდნაა თავმოყრილი.

გვ. 16 წმ. იოანე მანგლელი-საკაძე, დაიბადა 1668 წ., ნათლობის სახელი იოსები უწოდებიათ, ყმაწვილი შემდგარა ბერად დავით გარეჯის უდაბნოში. სიწმიდისა და გონიერების გამო ბატონიშვილმა ბაქარმა მანგლისის კათედრაზე აკურთხებინა მღვდელმთავრად. ოსმალებისაგან მანგლისის კათედრის დანგრევის შემდეგ იოანე ხირსის მონასტერს აფარებს თავს. დამოძღვრა და მოაქცია მთიულები. ჯვრითა და სახარებით იქადაგა კახეთში, საიდანაც მიაშურა დაღესტანს. მის მოციქულებრივ მოღვაწეობას ყურადღება მიაქციეს მეფე ვახტანგ VI-მ და რუსეთის იმპერატორმა პეტრე დიდმა, საჭირო ნივთიერი შეწევნაც აღმოუჩინეს. საკუთარი ხელით ააგო ჯერ ხის, შემდეგ კი ქვის ეკლესია ღვთისმშობლის მიძინების სახელზე და წმ. ეკატერინეს ტაძარი. 1742 წ. მიაშურა ასტრახანს, სადაც ააგო იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, რომელიც 1744 წ. რუსეთის მთავრობამ მონასტრად გადააკეთა და წინამძღვრად იოანეს მოწაფე ქართველი ბერი გერმანე დაადგინა. წმ. იოანემ ყიზლარში მოსახლე ქართველებს აუშენა ეკლესია და სკოლა გაუხსნა. როცა ოსეთში ქრისტიანობას უჭირდა, მან სიყვარულით უმწყემსმთავრა ოსებს. აღესრულა ყიზლარს 1751 წლის 28 მარტს, 85 წლის ასაკში. მისი

წმიდა გვამი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გადმოასვენეს, სადაც დღემდე განისვენებს. მისი ცხოვრება და სასწაულები აღწერა გაბრიელ მცირემ წიგნში "სტავროფორი."

ანტონ II კათალიკოსი – ძე საქართველოს მეფისა ერეკლე II-ისა. დაიბადა 1762 წლის 8 იანვარს. ნათლობის სახელი იყო თეიმურაზ. სწავლა-განათლება მიიღო ბიძის ანტონ I კათალიკოსისაგან. სწავლის დასამთავრებლად იყო საბერძნეთს. 1783 წ. აღიკვეცა ბერად. 1784 წ. დიაკვნად აკურთხეს. ამავე წელს გაემგზავრა რუსეთს, სადაც დიდი პატივით მიიღეს. იქ მას დაბალი ხარისხის სასულიერო პირის თანამდებობანი სჭერია. 1786 წ. ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში, იმპერატორთა სახლობის დასწრებით, აკურთხეს ნინოწმიდის ეპისკოპოსად. 1789 წელს მეფე ერეკლეს მოწოდებით შინ დაბრუნდა. 36 წლისამ მიიღო ხარისხი საქართველოს კათალიკოსისა. ძლიერ ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებზე, ეკლესიისაგან დაწესებული რიგის მოუშლელობაზე. მის დროს დაუბრუნდა საქართველოს რუსეთში გატანილი სიწმიდე – წმ. ნინოს ჯვარი, რომელსაც ანტონ II მცხეთას შეეგება და იქიდან კათალიკოსისა და სამღვდელოების თანხლებით ხელით გადაიტანეს თბილისში. დიდი ღვაწლის გამო იმპერატორისაგან ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი, თეორი ბარტყელა სერაფიმებით და ჯამაგირი 2300 მან. წელიწადში. 1811 წელს ანტონ II გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც იმპერატორმა ალექსანდრემ უბოძა წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი და წლიურად დაუნიშნა 54000 მან. დაინიშნა უწმიდესი სინოდის წევრად. გარდაიცვალა ნიჟნი ნოვგოროდში, "დიდად მოხუცებული, ჩყკბ (1822) წელსა, ივლისის იზ, დღესა კვირიაკესა, და ჟამსა ოდენ მზისა დასვლისასა."

ეკვდერი – მცირე სამწირველო (საბა).

გვ. 17 პროსკომიდია – კვეთა, სალმრთო ლიტურგიის I ნაწილი.

სოლეა – კანკელის წინ მდებარე საფეხურებიანი ამაღლებული ნაწილი, საიდანაც წმ. ძღვენი განეყოფა მორწმუნეებს. სიმეონ თესალონიკელის თქმით, იგია ადგილი იპოდიაკონთა და წიგნისმკითხველთათვის.

კანკელი – ტიხარი, რომელიც ჰყოფს საკურთხეველს ტაძრის შუა ნაწილისაგან. მასზე მოთავსებულია ხატები.

გვ. 18 ფილადელფოს კიკნაძე – მღვდელმონოზონი, დაიბადა 1794 წელს იმერეთში, აზნაურის ოჯახში; დედა – თინათინ აბაშიძე ყოფილა სეხნია აბაშიძის ქალი. 1802 წლიდან არის დავით გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერში. 1813 წ. იგი დაიმოწაფა ხირსის არქიმანდრიტმა ნიკიფორემ. აღკვეცილა ბერად ხირსის მონასტერში. დიაკვნად ხელი დაასხა ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ. საღვთისმეტყველო და საერო საგნებში განუსწავლია მღვდელმონოზონ იოსტოს ანდრონიკაშვილს. სამღვდელო ხელდასხმა

მიუღია 1822 წელს იოანე ბოდბელისაგან. 1826 წ. 4 ოქტომბერს გადასულა თბილისის ფერისცვალების მონასტერში. წერდა ლექსებს, მონაწილეობდა ს. დოდაშვილის "სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" გამოცემაში, იყო აქტიური მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დააპატიმრეს. გარდაიცვალა 1833 წ. დარიას მონასტერში.

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე – (1809-1875), ქართველი ისტორიკოსი. 1835 წ. დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1845-1856 წ. იყო "ზაკავკაზსკი ვესტნიკის" რედაქტორი. 1849 წ. იმოგზაურა ათონის მთაზე და შეისწავლა ქართული კულტურის ძეგლები. იყო ათენის ისტორიული საზოგადოების ნამდვილი წევრი. თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან. ავტორია ქართველოლოგიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომისა. გამოსცა ძვ. ქართული ლიტერატურის ძეგლები. მის კალამს ეკუთვნის "პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა" (1840). "ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა," "Краткая история грузинской церкви"და სხვ...

ეგზარქოსი იონა – ვასილევსკი. საქართველოს საეგზარქოსოს განაგებდა 1821-1832 წლებში. 1828 წლიდან მიტროპოლიტია.

კახეთის მეფე ლეონი – (1518/20-1574), გიორგი II-ის (ავგიორგის) ძე. 1518 წ. კახეთის მეფე. 50-60-იან წლებში შეეცადა რუსეთისაგან დახმარების მიღებას. 1563 წ. გაგზავნა ელჩები მოსკოვში ივანე IV-სთან, რის შემდეგაც კახეთში რუსეთის რაზმი შემოვიდა. მის დროს კახეთში შემოსევები არ ყოფილა. ქვეყანა ეკონომიკურად მოძლიერდა.

გვ. 19 არქიმანდრიტი ლეონიდე – ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე, დაიბადა 1861 წ. 15.II. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ – სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში. 1884 წ. სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში. 1887 წლის 19 ივნისს აღიკვეცა ბერად. იმავე წელს ხელი დაასხეს დიაკვნად, 1888 წელს – მღვდლად. ღვთისმეტყველების კანდიდატი. მოღვაწეობდა სინგილოში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთსა და ოსეთში. ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას. 1892 წ. დაადგინეს ზედაზნის მონასტრის იღუმენად. 1893 წ. ხირსის მონასტრის არქიმანდრიტია. იყო საქართველოს ეპარქიის კეთილმოწესედ, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, ქართული ბიბლიის ტექსტის გამსწორებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1898წ. აკურთხეს გორის ეპისკოპოსად. 1900 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსია. 1908 წლიდან გურია-სამეგრელოს მმართველია. დიდად იღვაწა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. 1917წ. 12 აგვისტოდან თბილისის მიტროპოლიტია. 1919 წლის 23 თებერვლიდან

1921 წლის 11 ივნისამდე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

გვ. 21 ხეთები – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი, რომლებიც ცხოვრობენ ძვ. წ. II ათასწლეულში მცირე აზიის (ანატოლიის) ცენტრალურ ნაწილში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე). ხეთების სამეფო ჩამოყალიბდა და საუკუნეების მანძილზე იარსება ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების მეზობლად.

II

გვ. 21 იუბენელია I – ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია, აზნაურთაგანი. მორჩილება მიღებული 1865 წ. ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის მუდმივ მორჩილებაში განაწესეს 1876 წ. 22 ნოემბრიდან. მონოზვნად აღიკვეცა 1880 წ. 12 აპრილს. ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს 1884 წ. 12 მარტს. იღუმენიად სანქტ-პეტერბურგში აკურთხა მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ.[44]

სანაწილე – მცირე ზომის ოქროს ან ვერცხლის ყუთი, რომელშიც ინახება წმ. ძღვენი – ქრისტეს სისხლი და ხორცი, განკუთვნილი უძლურთა ზიარებისათვის.

ბარძიმი – ფერჭიანი მაღალი სასმელი (საბა). წმიდა ჭურჭელი, რომლიდანაც მართლმადიდებელი ქრისტიანები ეზიარებიან ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს.

ფეშხუმი – თეფში, ლანკანი, რომელზეც ლიტურგიის დროს ათავსებენ წმ. კრავსა და სეფისკვერებიდან ამოღებულ ნაწილებს. წირვისას იგი განასახიერებს ქვაბსა და ბაგას, სადაც იშვა მაცხოვარი, ხან კი საფლავს, სადაც დაიდვა წმ. გვამი ქრისტესი.

გვ. 22 კამარა – ვარსკვლავი, პწკალი. გამოიყენება იმისთვის, რომ დაფარნა არ შეეხოს ფეშხუმზე დაბრძანებულ ნაწილებს.

კოვზი – მარწუხი, წმ. ჭურჭელი, იხმარება მორწმუნეთა ზიარებისას. განასახიერებს მარწუხს, რომლითაც ანგელოზმა გავარვარებული ნაკვერჩხალი შეახო წინასწარმეტყველ ისაიას ბაგეებს.

ტაკუკი – სარღვნელი, მომცრო საღვინე ჭურჭელი, იხმარება ბარძიმში მღვლარების ჩასაშვებად.

გვ. 25 ამბიონი – საქადაგო, საფსალმუნე (საბა). ამაღლებული ადგილი სამეუფო კარის წინ, საიდანაც მღვდელი ქადაგებით მიმართავს მრევლს. არის სახე ლოდისა, რომელიც ანგელოზმა გადააგორა მაცხოვრის საფლავიდან და მენელსაცხებლე დედებს ახარა აღდგომა ქრისტესი.

---

[44] სცსსა. ფ. 500, აღ. 1, საქ. №38.

გვ. 27 გარდა ეპისკოპოს კირიონის მიერ დასახელებული პირებისა, ხირსის მონასტრის წინამძღვრებად ჩანან:

არქიმანდრიტი გერონტი (დაინიშნა 1852 წ. 30.VIII),
არქიმანდრიტი დიონისე (1855-1856წწ.),
არქიმანდრიტი მოსე (1856-1858 წწ.),
არქიმანდრიტი მაკარი (დაინიშნა 1858 წ. 24.V),
არქიმანდრიტი სოფრონი (დაინიშნა 1864 წ. 28.X),
არქიმანდრიტი გრიგოლი (1868-1869 წწ.), ბერძენიშვილი,
ილუმენი ანტონი (1869-1870წწ.),
ილუმენი დიმიტრი (წინამძღვრად ჩანს 1912-1914 წლებში).[45]

ეგზარქოსი ევსევი – ილინსკი, საქართველოს საეგზარქოსოს განაგებდა 1858-1877 წლებში.

გვ. 28 სვინაქსარი – კრებული, რომელშიც შედიოდა წმინდანების მარტვილობა. – ცხოვრებათა მოკლე რედაქციები.

გვ. 31 ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე (1825, 19.V. 1891), ქართველი ისტორიკოსი. 1849 წ. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. მასწავლებლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ – სემინარიაში. 1854 წლიდან სახელმწიფო სამსახურში იყო, ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე. იყო საქართველოში საგლეხო რეფორმის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ქართული ისტორიული საბუთები. იკვლევდა ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ignorabimus – ლათ. არ გვეცოდინება.

---

[45] ცნობები მათ შესახებ დაცულია სცსსა, ფ. №500, აღწ. 5.

სარჩევი

ეპისკოპოსი კირიონი და მისი ნაშრომი "ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი." დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი.....3
ეპისკოპოსი კირიონი, ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი.....13
დანართი.....32
შენიშვნები.....42

რედაქტორი: ა. სტურუა.
ტექნიკური რედაქტორი: ნ. დარბაიძე
კორექტორი: რ. ხოფერია.
ფოტოები ვ. თარალაშვილისა.

დაიბეჭდა და აიკინძა შპს „ჯალი"-ს სტამბაში.

ეპისკოპოსი პირიონი

ღირსი სტეფანე და მის მიერ

დაარსებული სირსის მონასტერი